ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 28 (97) 18 აგვისტო 2009 საგაზეთო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო 50 თეთრი

ილია მეორე: რწმენის წართმევა – ეს არის ადამიანის დაღუპვა! ჩვენი სახელმწიფოს მოწოდება, რომ დავსაჯოთ, ბოროტებად მიმაჩნია

ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4



ბაზეთი "ილორი" აბრძელებს წერილების ციკლის ბეჭდვას, ამჯერად უკვე მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელებზე 12

პელე

ომის ტრაგედია თუ მაღალ კაბინეტში დაგეგმილი მკვლელობა?

დავით ქობალია

3,5

11

ისაკი ეკანია

მეგრული საქმისათვის მებრძოლის თავდადება და აღსასრული

როგორ აღმოჩნდნენ სააკაშვილი და კუბლაშვილი "ენგურჰესის" სამეთვალყურეო საბჭოში?

5

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"



9

აპოლონ ცანავა 7

ხალხური ფოლკლორისა და მითოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი

საუბრები პატრიარქთან



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის შოთა ნადირაშვილის საუბარმა, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერით გადაიცა, ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

მსმენელის გულისყური მიიპყრო ორი ბრძენი ადამიანის განსჯამ ისეთ საკაცობრიო თემებზე, როგორიცაა მამებისა და შვილების ურთიერთობა – უფროსი თაობის მიმართ დამოკიდებულება და წარსულის პატივისცემა; ბრძოლა ავტორიტეტებთან, დაუფიქრებელი „ნულოვანი ტოლერანტობა“ და „ყველანი ციხეში“, რაც ქართულ გენოფონდს კატასტროფით ემუქრება; ეროვნულ ფასეულობებში გაურკვეველი ახალგაზრდების უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურით მოხიბლვა და გადაგვარება; და, რაც მთავარია, რწმენის წართმევა, რასაც მიზანმიმართულად ცდილობენ ადამიანის, როგორც ღირებულების, დაღუპვის მიზნით. ასეთ დროს უპირველესად უნდა ვიცოდეთ, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“ (ილია), რათა არ ავცდეთ ჭეშმარიტების გზას.

ილია მეორე: სიკეთე იწყება ღვთისგან. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, რომ ღმერთი არის სიყვარული. თუ ღმერთი სიყვარულია, ყოველი არსება, რომელიც დაუახლოვდება ღმერთს, ეზიარება ამ სიყვარულს. თუ სიყვარულია, მას ახლავს სიკეთე. არ შეიძლება, რომ სიყვარული არსებობდეს ადამიანში და სიკეთე არ აკეთოს.

შოთა ნადირაშვილი: ჩვენ, მეცნიერები, კიდევ სხვა გზით და სხვა გამოცდილებით მივედით სწორედ იმ შეხედულებამდე, რომ სხვისთვის სასარგებლო საქმის კეთება არის თვითონ ადამიანის შინაგანი სამყაროს მაღალ დონეზე ასვლა. ერთმანეთს აძლიერებენ მოსიყვარულე ადამიანები, მაგრამ, ამავე დროს, ალბათ, ადამიანი ვალდებულია, ვისაც არ უყვარს, შეაცვლევინოს შეხედულება თავისი სიყვარულით. ასე რომ, ჩვენს სფეროშიც, რაც უნდა ბევრი ემუშავათ, მივდივართ იმ დიდ ჭეშმარიტებებთან, რომელიც ღმერთის მიერაა ნაბოძები და ნათქვამი.

ილია მეორე: სიყვარული ძალიან ხშირად სხვადასხვანაირად ესმით ადამიანებს. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ დღეს სიყვარულის შესახებ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში. დღეს, სამწუხაროდ, ბავშვები ხშირად არამარტო შეურაცხყოფას აყენებენ ერთმანეთს, არამედ ფიზიკურად უსწორდებიან. რა არის ეს, სიყვარულის უქონლობაა თუ ბოროტია დაუფლებული ადამიანით?! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი იმყოფება სხვადასხვა ძალების გავლენების ქვეშ; უპირველეს ყოვლისა, ღვთის გავლენის ქვეშ, რა თქმა უნდა. და ბოროტი ძალების ქვეშ შეიძლება მოხვდეს ადამიანი. ბევრი რამ არის დამოკიდებული ოჯახზე და გენებზე. მე გავიზარდე ისეთ ოჯახში, რომ არ გამიგონია ჩემი დედ-მამის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები. ასეთი მორიდება ჰქონდათ ერთმანეთისა და ბავშვებს ასე ზრდიდნენ. მე წაკითხული მაქვს ერთი საოცარი შემთხვევის შესახებ. ეს მოხდა რუსეთის რევოლუციამდე. იყო ძალიან კარგი ოჯახი – ცოლი და ქმარი. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ეს სიყვარული გამოვლინდებოდა ყველაფერში. ძალიან ცდილობდნენ, რომ სიხარული მოეტანათ ერთმანეთისთვის, მაგრამ ამ სიყვარულში ჩაერია რაღაც ბოროტი ძალა და მეზობელს შეუყვარდა ეს ქალი. ძალიან ეცადა, მაგრამ ვერაფრით დაითახმა ეს ქალბატონი ცოდვის გასაკეთებლად და ბოლოს მოკლა მისსავე სახლში იმ დროს, როცა ქმარი შინ არ იყო. სისხლში იწვა ეს ქალი და ამ დროს შემოვიდა ქმარი. პირველი, რაც მან გაიფიქრა იყო ის, რომ შური ეძია. ამ დროს მკვლელი იჩოქებს მის წინ და ეუბნება, ძალიან მიყვარდა თქვენი მეუღლე, მაგრამ ვერაფრით ვერ დავითანხმე და ამიტომ მოვკალიო. ისე იმოქმედა ამის აღიარებამ თუ აღსარებამ, რომ ეუბნება მკვლელს,– წადი სახლშიო. დაკეტა თავისი სახლი ქმარმა, წავიდა პოლიციაში და უთხრა, ცოლი მოვკალიო. როგორი ბუნებაა ამ ადამიანში? ესე იგი სხვის ცოდვას იღებს თავის თავზე. ამის გამო დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც წლების მანძილზე იმყოფებოდა და იქაც იყო შემთხვევა, რომ მკვლელობა მოხდა და თავის თავზე აიღო. ეკითხება მოძღვარი, რატომ გააკეთე ეს, რატომ აიღე შენს თავზეო. მან უპასუხა, მე მინდოდა სხვისი სიმძიმე მეტვირთაო. ესე იგი, იმდენად დიდი იყო მისი სიყვარული ადამიანისადმი, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგა. თანამედროვე ადამიანისთვის ეს სრულიად მიუღებელი და გაუგებარია. არიან ასეთი ადამიანები. რა თქმა უნდა, ეს იშვიათად შეიძლება მოხდეს. პავლე მოციქულს აქვს შესანიშნავი სიტყვები – **„ერთმანეთის სიმძიმე იტვირთეთ და ასე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი“**. ადამიანსაც ბევრი არ შეუძლია, თავისი სიმძიმეც გაანჩია და მაინც უნდა იტვირთოს სხვისი სიმძიმე. საოცარი ის არის, როგორ განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან. არის ადამიანი, რომლის გულშიც შეიძლება მთელი მსოფლიო ჩაეტიოს და არის ადამიანი, რომლის გულში ოჯახის წევრები ვერ ეტევიან. სოხუმში იყო ასეთი შემთხვევა: გათხოვდა ქალიშვილი, წავიდა და სხვაგან ცხოვრობდა. მერე გაუჭირდა, ბინა არ ჰქონდა და დაბრუნდა დედასთან თავისი ქმარ-შვილით. მე ვიცნობდი ამ ადამიანს. ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება ქალიშვილი თავის დედას, წადი სახლიდანო. სად წავიდეო და, სადაც გინდა, იქ წადიო. იყო შემთხვევა, როცა რკინიგზის სადგურში გაატარა ღამეები. მერე დაბრუნდა. თუ არ წახვალ, ფანჯრიდან გადაგაგდებთო, – შვილი ეუბნება თავის დედას. საქმე მივიდა სასამართლომდე. სასამართლომ დედას დაუტოვა ბინა. აი, ასეთი ბოროტება შეიძლება გამოვლინდეს. ყველაზე დიდი ძალა, რომელიც არეგულირებს ადამიანის მოქმედებას და ცხოვრებას, ღვთის რწმენაა. რწმენის წართმევა, ეს არის ადამიანის დაღუპვა. დღეს ძალიან ხშირად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ბავშვების უფლებები. რა თქმა უნდა, უნდა დავიცვათ, წესიერად აღვზარდოთ და ვასწავლოთ. კანადაში ვიყავი და იქ გვიამბობდნენ: ბავშვი ურეკავს პოლიციას, რომ ჩემი დედა მიჯავრდება ან მცემსო. რა ურთიერთობა უნდა იყოს შვილებსა და მშობლებს შორის ამის შემდეგ? საერთოდ, მარადიული პრობლემაა მშობლებსა და შვილებს შორის, თაობათა შორის ურთიერთობა. უნდა გვახსოვდეს ერთი მცნება, რომელიც მოგვცა უფალმა, **„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“**. ეს არის ღვთის კანონი. თუ ადამიანს უნდა, რომ ბედნიერი იყოს ამ ქვეყანაზე, მან უნდა სცეს პატივი მამასა თვისსა და დედასა თვისსა. წმინდა მამები ამბობენ, რომ აქ იგულისხმება არა მარტო მშობელი, – უფროსი თაობა იგულისხმება. აი, ეს უნდა იცოდნენ ჩვენმა ახალგაზრდებმა. ზოგიერთს ჰგონია, რომ სანამ ცოცხალია, პატივი უნდა სცეს და მერე უნდა დაივიწყოს დედ-მამა. ესეც არ არის სწორი. გარდაცვალების შემდეგ აუცილებლად უნდა იყოს სულთა კავშირი მშობლებსა და შვილებს შორის. ლოცვა უნდა შესრულდეს მშობლებისთვის, საკურთხი უნდა იყოს მათთვის გაკეთებული. მათ სახელზე შეიძლება გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმარონ და ასე შემდეგ. მე, მაგალითად, სტუდენტობისას სულ ვფიქრობდი, მათთან ჩასვლისას რით გამეხარებინა ჩემი მშობლები. რაღაცას აუცილებლად ვუყიდიდი და ბავშვებივით უხაროდათ, როცა ამ საჩუქრებს ჩავუტანდი. ახლა, რა თქმა უნდა, გარდაცვლილია ჩემი დედ-მამა და დღეს მე მაქვს მათი სურათი კედელზე. ორივე ერთად არის გადაღებული და ხანდახან დავუდებ შოკოლადებს ან ხილს, ან რაღაცას და ვეუბნები მიირთვით-მეთქი. როგორც ცოცხლებს, ისე მივმართავ. მერე ვაძლევ დედებს, რომ მიირთვან.

შოთა ნადირაშვილი: თქვენ მშობლებთან ურთიერთობაზე რომ თქვით, ჩემი მეცნიერება ასე ამბობს: 6-7 წლამდე ბავშვებისთვის მშობლებია ყველაზე დიდად მისაბაძი. და ისეთები ხდებიან, როგორც მშობლები არიან. მშობლები უნერგავენ მათ გარკვეულ დამოკიდებულებებს და განწყობებს. 6-დან 12 წლამდე მასწავლებლის გავლენა უფრო მეტია და ზემოქმედების უფრო მეტი ძალა აქვს ავტორიტეტის თვალსაზრისით, ვიდრე მშობელს. მშობელთან სიყვარული სულ სხვანაირ ურთიერთობებს ბადებს და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მასწავლებლის დამოკიდებულებები მეტ ძალას იძენს. მერე უკვე ორივე კარგავს წამყვან როლს. 12-დან 16 წლამდე ბავშვებს უნდათ, რომ თვითონ გახდნენ პიროვნებები, თავისი **„მე“** ჩამოაყალიბონ და ამიტომ არა მშობლისგან ან მასწავლებლისგან, არამედ განსაკუთრებით თანატოლებისგან ეძებენ აღიარებას. ისინი აღარავის არ უჯერებენ, მათთვის არავინ არაა მისაბაძი, თვითონ უნდათ, რომ მისაბაძნი გახდნენ. ამ დროს მათ შველა უნდათ, რომ მიეცეთ საშუალება, თავისი კარგი მხარე გამოავლინონ. თუ არადა, ცუდად გამოავლენენ. მათი ციხეში ჩასმა ეს არის უდიდესი ბოროტება. ბოროტებას ბოროტებით რომ უპასუხებ, ის უფრო მტერი ხდება მთელი ჩვენი სახელმწიფოსი, დამსჯელი ორგანოების. ციხეში ჩასმით მისი განვითარების გზა ყოვნდება და 12 წლის თუ დაიჭირეს და 22 წლის გამოვა, პიროვნულად და სულიერად ისევ 12 წლისა იქნება. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს მოწოდება, რომ დავსაჯოთ, ბოროტებად მიმაჩნია. მერე ბავშვები უკვე ხდებიან მიმბაძველები საზოგადოებაში ცნობილი ხალხისა. ჩემმა მეცნიერებამ ეს დაკვირვება გააკეთა, მაგრამ გამორჩა, რომ მთელ ამ პროცესში ღვთის რწმენა თვითონ იმ ავტორიტეტებს აძლიერებს. სიკეთის ქმნა მშობლისა, მასწავლებლისა, შემდგომში – ცნობილი ადამიანებისა, სიკეთის ზემოქმედება კიდევ უფრო ძლიერი ხდება, თუ ჩვენ ეკლესიას, მორწმუნეობას ვაქცევთ კიდევ ერთ დიდ ძალად, რომელიც სულ გაჰყვება დაბადებიდან ოც წლამდე, სანამ პიროვნებად ჩამოყალიბდება.

ილია მეორე: ახლა, თქვენი საუბრის დროს წარმოიშვა ჩემს გონებაში, რამდენად საჭიროა ავტორიტეტი ახალგაზრდებისთვის? ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა ძალიან ხშირად ავტორიტეტებს ებრძვიან. ავტორიტეტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის იდეალურია ყველაფერში. უნდა ვიფიქროთ, ვინ ვართ ჩვენ და საით მივდივართ. ჩვენ ძალიან ხშირად ვაიდეალებთ ჩვენს წარსულს, ჩვენს წინაპრებს. შეიძლება ისეთი თავისუფალი – არა, როგორც დღეს არის ხალხი, მაგრამ ისინი დიდი ადამიანები იყვნენ. მათ მიტევებაც იცოდნენ და სიყვარულიც... ცოდვას როცა ჩაიდენდა ადამიანი, მას მიაჩნდა, რომ ის არის ცოდვა. ეს სინანულის გრძნობა მუდამ იყო მასში. დედამიწაზე არ არსებობს უცოდველი ადამიანი, არც ყოფილა და არც იქნება. მაგრამ, როგორც წმიდა ბასილი დიდი ამბობს, მთავარი ის კი არ არის, რომ ადამიანი დაეცა, მთავარია, რომ ის ადგა იმ ცოდვიდან. ადამიანი არ უნდა შეურიგდეს ცოდვას. ცოდვა ცოდვად უნდა მიაჩნდეს და ადრე თუ გვიან უნდა განთავისუფლდეს იმ ცოდვისგან და იმ ენებებისგან. ძალიან ხშირად ახალგაზრდებს აგზავნიან მშობლები უცხოეთში, იმ დროს, როცა განმტკიცებული არ არიან თავის ეროვნულ ფასეულობაში, არ იციან, რა არის ეროვნული ფასეულობა, რამ გადაარჩინა იბერია. რომის იმპერია დაეცა, ბიზანტია დაეცა, მრავალი სხვა დაეცა, იბერია არსებობს. რატომ? რა, ჩვენ სხვებზე მეტად ძლიერები ვიყავით? როცა ადამიანი მტკიცედ არ დგას თავის ფუძეზე, თავის წინაპრების ფასეულობაზე და ის ხვდება უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურაში და უცხო წეს-ჩვეულებაში, ხდება მისი გადაგვარება – ღებულობს იმ კულტურას, რომელიც იქ არის. ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს კულტურა და არსებობს ფსევდოკულტურა, ძალიან ხშირად ადამიანი ვერ განასხვავებს, სად არის კულტურა და სად არის ფსევდოკულტურა, სად არის მუსიკა და სად არის ფსევდომუსიკა. მთავარი ის არის, რომ ჩვენმა ხალხმა გაიგოს, სად არის ჭეშმარიტება. მაცხოვარი ამბობს, **„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“**.

გზა, სად არის ჩვენი გზა, ეს უნდა ვიცოდეთ.

შოთა ნადირაშვილი:
(იბეჭდება შემოკლებით)

“ციტატა-შეხსენება

დასავლური ფენომენი მიუღებელია მართლმადიდებლური შეგნებისათვის, რომელიც ეფუძვნება ჰუმანიზმს, ხელგაშლილობას, მგრძნობიარობის რაციონალურზე სიჭარბეს, კოლექტივიზმს, კაცთმოყვარეობას, ცხოვრებასა და ბრძოლას მხოლოდ საზოგადოებაში, სხვებთან ერთად. მეტიც, პროტესტანტულ ფსიქოლოგიას მკვეთრად ეწინააღმდეგება კათოლიკური შეგნებაც, კათოლიკური მსოფლმხედველობაც კი. ზუსტად ამის გამო კათოლიკური ხალხები “ცხოვრების დასავლური წესის” ათვისებაში “ჩამორჩებიან”: იტალიელები, ესპანელები დასავლეთში ამ თვალსაზრისით “ჩამორჩენილ” ერებად ითვლებიან, ფრანგები აქტიურად ეწინააღმდეგებიან საკუთარი ქვეყნის ამერიკანიზაციას, ირლანდიელები ომობენ ინგლისელებთან. ამიტომ თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენი დასავლეთთან ერთობის ფაქტორს “საერთო რელიგია” წარმოადგენს, უსაფუძვლოა. აქედან კი გამომდინარეობს მცდარი აზრი თითქოსდა საერთო მენტალიტეტის შესახებ. ქართული საზოგადოება ტრადიციული საზოგადოებაა. ვიმეორებ, თვისებები, რომელიც პროტესტანტულ ინდუსტრიულ საზოგადოებას ახასიათებს, ჩვენთვის უცხოა და კატეგორიულად მიუღებელი.

ალექსანდრე ჭაჭია,
1997 წლის ივნისი“.

ომის ტრაგედია თუ მაღალ კაბინეტში დაგეგმილი მკვლელობა?

ანუ, რატომ ჩამოაცილა შევარდნაძემ აფხაზეთის ხელისუფლებას თამაზ ნადარეიშვილი?!.

საეჭვოდ გამძაფრდა ამ ბოლო დროს ინტერესი აფხაზეთის ომზე და მის მართლაც უამრავ საეჭვო პერიპეტიებზე. რომ იტყვიან, რა გვაქვს საწინააღმდეგო, გაირკვეს (აქამდეც უნდა გვეზრუნა და გაგვერკვია!) რაც გასარკვევია, ეჭვს რომ ის ადამიანები არ იწვევდნენ, რომლებიც ამ საკითხებს იძიებენ და დღემდე არც კი უფიქრიათ სააკაშვილისთვის ეკითხათ:

„–აგვიხსენით ბატონო მიხეილ (თუ გნებავთ **„მიშა მაგარიან“**) **როგორ მოვიგეთ 2008 წლის აგვისტოს ომი, როცა დამატებითი ტერიტორიები ჩვენ წაგვართვეს, ხალხი ჩვენ დაგვიხოცეს, ათიათასობით ქართველმა ძლივს გამოასწრო სიკვდილს, უმოკლეს დროში ქართველთა ნასახლარიც კი არ დატოვა „პირდაუბანელმა“ კოკოითმა** (ამასწინათ, რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი რომ სტუმრობდა ცხინვალში!) **წართმეულ ტერიტორიაზე, როცა – სათესლე ქართველიც კი არ დარჩა სამაჩაბლოში?!.**

–რას ჰქვია ბატონო პრეზიდენტო თქვენი და თქვენი მხარდამჭერების გაგებით ომის მოგება?!.“

ვისაც კარგად ახსოვს, თუ რა ხდებოდა თბილისში, 1992-93 წლებში, სამეგრელოსა და აფხაზეთში დატრიალებული ყოველი მორიგი ტრაგედიის შემდეგ, ნათლად წარმოიდგენს, თუ რატომ მიაჩუმათეს 2008 წლის აგვისტოს **„მოგებულ ომთან“** დაკავშირებული კითხვები და რატომ გააქტიურდა 17 წლის წინანდელი აფხაზეთის ომის დეტალების გამოძიება.

შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს – **„თბილისი და მისი კრიმინალი მთავრობა (იგივე კრიმინალები მართავდნენ მაშინ საქართველოსაც!), ყოველი სოფლის, ქალაქის, კუთხის (სამეგრელოს არაერთგზის!) აოხრებისა და დაკარგვის შემდეგ ზარ-ზეიმებს მართავდა რუსთაველზე, კაფე-რესტორნებსა და კინო-თეატრებში!.. რატომ უნდა გადაყვეს სააკაშვილი და მისი მთავრობა გლოვას, მტერს ხომ არ გავახარებთ, ხომ ხედავთ რამხელა სტუმარი ჩამოგვივიდა საქართველოში, გავიმარჯვეთ აბა რა ვქენითო!..“**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, მეც მინდა კვერი დავუკრა ჩემს მოპასუხეს და ზოგ რამეში დავეთანხმო კიდეც – უდავოა, რომ მართლაც დიდი სტუმარი ჩამოუვიდა ბატონ სააკაშვილს (და არა საქართველოს!), მაგრამ ჩვენ უფრო დიდი სტუმარიც გვახსოვს პრეზიდენტთან ჩამოსული, ცას რომ წვდებოდა ისეთი ბუქნი და ტაშფანდური რომ გავუმართეთ და კინაღამ დიდი ვახტანგ გორგასალიც რომ აიყოლია მტკვარს გაღმა ცხენზე ამხედრებული!.. ახლა მე მინდა გკითხოთ – მერე და, რა დაგვრჩა ამ სტუმრობიდან?

პასუხზეც არ შეგაწუხებთ, თავად მოგახსენებთ:

– 2008 წლის „აგვისტოს მოგებული ომი“;

– მიწასთან გასწორებული და სამუდამოდ დაკარგული სამაჩაბლო;

– ათიათასობით უსახლკარო;

... და კიდევ – **უამრავი ნაბუქნარი და ნაბუშარი, რომლებიც მხოლოდ ერთმა – მაღალმა ღმერთმა იცის, კიდევ როდის გამოიჩენს თავს, ჩვენი დარჩენილი ქვეყნის დასაქცევად!..**

ყოველივე ზემოთმოყოლილის ფონზე სურვილი მიჩნდება ვიკითხო:

– რას მოელის ჩემი სამშობლო და მშობლიური ხალხი ბ-ნი ბაიდენის სტუმრობიდან?!.

თავიდან არც მიფიქრია მსგავს შესავალზე, ჩემი წერილის მიზანი სულ სხვაა და მას მინდა მივუბრუნდე:

დასაწყისში ვახსენე, საეჭვოდ გააქტიურდა მეთქი აფხაზეთის ომის დეტალების გამოძიება!.. მეც მაქვს სურვილი, ამ დაინტერესებულთაგან ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს, ბ-ნ ჩაგელიშვილს ვურჩიო, ერთხელ მაინც მივიდეს და ჰკითხოს **„უსსენებელ“** შევარდნაძეს, რატომ მოხდა თამაზ ნადარეიშვილის ჩამოცილება აფხაზეთის ხელისუფლებიდან და მისი ჩანაცვლება ბატონ ჟიული შარტავათი, სწორედ იმ დროს, როცა რამდენიმე თვის დაწყებული იყო აფხაზეთში ომი და ჯერ კიდევ შეიძლებოდა დიდი მსხვერპლის გარეშე მისი შეჩერება?

– რა აუცილებლობა არსებობდა საიმისოდ, ჩამოეცილებინათ საქმიდან პიროვნება, რომელიც აფხაზეთის ორივე ხელისუფლებისათვის (ფაქტიური, რომელიც განდგომილ აფხაზეთს მართავდა და მისი ბუტაფორია, რომელიც ჯერ სოხუმში, შემდეგ თბილისში იჯდა და **„უსსენებლის“** დაკრულზე ცეკვავდა) კარგად ნაცნობი იყო და არცერთ მხარესთან შუამავალი არ სჭირდებოდა?..

– რატომ მოხდა ნადარეიშვილის დაბრუნება, შარტავას ლიკვიდაციისთანავე მის ძველ თანამდებობაზე?

– ხომ არ იყო ეს **„უსსენებელის“** მიერ წინასწარ დაგეგმილი სცენარის ნაწილი, რომელიც **„შარტავას, როგორც „უსსენებელისათვის“ საშიში პოლიტიკური მოწინააღმდეგის სარბიელიდან ჩამოცილებას და „გამოცდილი და სანდო ამხანაგის“ თამაზ ნადარეიშვილის ხანგრძლივი შვებულებიდან თავის ძველ თანამდებობაზე დაბრუნებას“** გულისხმობდა?

ისიც ხომ ცნობილია **„უსსენებელმა“** თვითონ გააღწია ალყაში მოქცეული სოხუმიდან (იმასაც ამბობენ, აფხაზები **„უსსენებელის“** გასვლას უცდიდნენო სოხუმიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყესო ქალაქის **„წმენდა“**), ბატონ შარტავასა და მისი მცირერიცხოვანი გარემოცვისთვის კი, ისევე როგორც სოხუმის მშვიდობიანი ქართული მოსახლეობისათვის, არც კი უცნობებია მოსალოდნელი საშინელების შესახებ, რასაც ნახევრადველური შეიარაღებული გადამთიელები დაატრიალებდნენ, დაუცველ და უპატრონოდ დარჩენილ ქალაქში.

ერთი შეხედვით, იმდენად მარტივია ყველაფერი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანი იტყვის – რა უდგას ამ საქმეს წინ, მიდით და ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილებს კითხეთ თუ რა მოხდაო!.. მაგრამ, ასე იოლად რომ არ არის საქმე, ამას ქვემოთ იხილავთ.

არც ისე მიუხვედრელი კაცი ჩანს ბატონი თომა ჩაგელიშვილი, ვისთან მივიდეს და ვის რა უნდა ჰკითხოს ის ესწავლებოდეს!.. კიდევ ერთხელ შეავლეთ თვალი მის გადაღებულ ფილმებს და მაშინვე მიხვდებით – მას არც დამკვეთი ეშლება და არც დამკვეთის დავალების შესრულება!..

ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ, რომ – **ომი აფხაზეთში, არც ხიდების და ტრანსპორტის, არც სამამულო და სატრანზიტო ტვირთების, არც ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და მით უმეტეს მათი დირსების დასაცავად არ დაწყებულა – იგი ცალსახად, ქართული ეროვნული მოძრაობის და მისი ძირითადი ბირთვის გასანადგურებლად იქნა დაგეგმილი და დაწყებული!..**

დრომ და განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, აფხაზეთის **„გადმორეკილი“** ხელისუფლება და მის წევრთა დიდი უმრავლესობა დედაქალაქში გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს, ვიდრე აფხაზეთში, რადგან ყოველი იქ მიმდინარე მშვიდობიანი თუ საომარი მოქმედებები მათი თავსატეხი გახლდათ, თბილისში კი ყოველივე ამისგან თავისუფლები იყვნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი ქვეყანა მათზე ზრუნვას იყო გადაყოლილი.

არც აფხაზეთის **„ინტელიგენციის“** დიდ ნაწილს (რომელიც უსიტყვოდ ექვემდებარდომა **„უსსენებელს“**) უგრძვნია თავი უპატრონოდ – **მთავარია, მათ არ უნდა შეშლოდათ, საჭირო დროს და საჭირო მომენტში, იქ უნდა მდგარიყვნენ, სადაც ამას ქვეყნის დამაქცევრები მოითხოვდნენ და ტაში ებათქუნებინათ მათი გადაწყვეტილებებისათვის, თუნდაც იგი – დარჩენილი სამშობლოს დამანგრეველი ყოფილიყო!..**

ასე და ამ გზით ჩამოყალიბდა აფხაზეთიდან გადმორეკილთა ახალი კლანი, რომელმაც ისედაც საძირკველშერყეულ ქართულ სახელმწიფოს ქვა ქვაზე არ დაუტოვა – **ოღონდაც, საკუთარი ცხოვრება მოეწყოთ, ოჯახის წევრთა მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით...** ამ გზით ჩამოყალიბდა აფხაზეთიდან გადმორეკილ ახალ მდიდართა კასტა, რომლებსაც აფხაზეთში მარტივად **„მეღუმურგილეებს“** ეძახდნენ. **აიღებ ნამუსზე ხელს – უარყოფ მაცხოვარს და გაუდგები ბარაბას გზას, დაგიფასდება!..** იყო ამ ცოდვილებზე შეთავაზებული, რაც მათმა დიდმა უმრავლესობამ უყოყმანოდ მიიღო და დაუფასდათ კიდეც!..

ასე, ქვეყნის გაყიდვაში და საკუთარი მოთხოვნილებების (რაც მანამდე ნაქონსა და გაგონილზე ბევრად დიდი იყო!) დაკმაყოფილებაში გაატარა აფხაზეთის მთავრობამ და საპარლამენტო წარმომადგენლობამ თავისი მოღვაწეობა თბილისში, ვიდრე მათზე უფრო ურცხვი, უზნეო, ურელიგიო და უწარსული (ამას ხომ თვითონვე ამტკიცებენ დღენიადაგ – **საქართველოს ისტორიის ათვლის წერტილი 2003 წლის 3 ნოემბერიაო!..** ამ თემას მოგვიანებით მივუბრუნდებით...), მაგრამ უფრო გაბედული (არა – **შუბლისძარღვუქონელი!**) მთავრობა მოვიდოდა 2003 წლის 3 ნოემბერს და პირველივე წკიპურტის გაკვრით გადაისვრიდა მათ პოლიტიკურ და ძალაუფლებაწართმეულთა სანაგვეზე.

სამარისებურმა სიჩუმემ და შიშმა მოიცვა მაშინ დიდი და პატარა. თუ **„უსსენებლის“** ზეობის დროს აფხაზეთის მთავრობას და მის საპარლამენტო წარმომადგენლობას ხმის ამოღების ლიმიტიც კი გამოყოფილი და დადგენილი ჰქონდათ, ახალმოსულ **„მეკობრეთა“** წესები (მათ რა იცოდნენ რომ – **„ვარდეკლიანი“ მთავრობა საერთოდ უწესო იყო!**) კი მათთვის უცნობი იყო და არავის უცდია, თუნდაც მცირე წინააღმდეგობა მაინც გაეწია. პირიქით, რომ იტყვიან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და პარლამენტიდან კინწისკვრით გამოყრილები – **„ვარდეკლიანი რევოლუციის“** პირველ მეხოტბეთა რიგებში განლაგდნენ სასწრაფოდ. საუბედუროდ, სწორედ მათგან გავრცელდა და დამკვიდრდა აფხაზეთიდან გადმორეკილებში – **„თუ დაგვაბრუნებს ისევ სააკაშვილი, მაგისთანა გიჟი თუ გვიშველისო მხოლოდ!..“** საკვირველია, გიჟი რომ არის სააკაშვილი ამაში ეჭვი არ ეპარებათ, მაგრამ რატომ ჯერათ, რომ გიჟი და შეურაცხადი მოაგვარებს მათ პრობლემას, სრულიად გაუგებარია!

სამაგიეროდ, ცხადი და გასაგებია – **სააკაშვილი, მალე, აფხაზეთში დარჩენილ ქართველებსაც გადმოარეკინებს რუსებს და ამით დაამთავრებს თავის მოღვაწეობას და პირნათელი დარჩება, ორივე დამკვეთის, როგორც რუსეთის ასევე ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე!..**

დაიჯერეთ – **რომ სააკაშვილი და მისი მთავრობა არ ასრულებს რომელიმე ერთი სახელმწიფოს დაკვეთას, იგი ერთნაირად ემსახურება რუსეთს და აშშ-ს, რომლებიც წინასწარ არიან შეთანხმებული საქართველოს დაყოფა-გადანაწილებაში. ამის ნათელი დასტური იყო ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტების ამასწინანდელი შეხვედრა, სადაც რუსეთ-საქართველოს პრობლემების მოგვარების გარდა ყველაფერზე იყო საუბარი!**

დაიჯერეთ – **რომ ორივე ქვეყნისთვის მთავარია მათი დაკვეთის შემსრულებლები ყავდეს საქართველოში უზრუნველყოფილი, სულ ერთია იგი პოზიცია იქნება თუ ოპოზიცია, ან გნებავთ ორივე ერთად... და, როგორც ატყობთ, დღევანდელი გადასახედიდან საქმეც სწორედ ასე მიდის!**

აფხაზეთის **„სასახელო“** წარმომადგენელი კი, ჩვენს მიერ **„ბულავა-ბონიად“** მონათლული **პაატა დავითაია** წარმოადგენს აფხაზეთის ქართულ მხარეს ჩვენს პარლამენტში (თქვენ, რაც გინდათ ის უწოდეთ ამ პარლამენტს გაჟალბებით არჩეული, თუ გინდათ ღობეზე გადმომძვრალი და შემოპარული, უცხოელი დამკვირვებლები და მათი ორგანიზაციები ოფიციალურ განცხადებად პარლამენტისას იღებენ და არა ოპოზიციის მეგაფონით გადმოძახილს!) და გულმოდგინედ ემსახურება სააკაშვილს მისი მზაკვრული გეგმის განხორციელებაში, რომელიც ამ შემოდგომაზე უნდა აღსრულდეს საბოლოოდ, მის ყოფილ **„ოდაბადეში“**... ყოფილი მეთქი, იმიტომ ვახსენე, როგორც მაცნობეს, ბატონმა დავითაიამ აფხაზეთში საკუთარ მიცვალებულთა ძვლებიც კი არ დატოვა და სამუდამოდ ამოიკვეთა იქიდან ფეხი. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, მან რომ ნებისმიერ ავანტიურას მოაწეროს ხელი, რომელსაც სააკაშვილი წამოიწყებს და ბუნებრივია – დავითაიაც გულმოდგინედ ასრულებს კიდეც მის დავალებებს.

უცხოური დიპლომატიური სამსახურები, გაეროს და ევროკავშირის წარმომადგენლები მიეჩვივნენ საქართველოს პრეზიდენტის და მისი მთავრობის არასერიოზულ დამოკიდებულებას ოპოზიციისადმი და მათაც ცხადია არაფრად მიაჩნიათ მისი მცირე, მაგრამ სერიოზული ნაწილის (და არა მთლიანად ოპოზიციის!) მოთხოვნები და განცხადებები. ოპოზიციას ყურს არავინ უგდებს, ევროსტრუქტურები კი კვლავინდებურად მიერეკებიან სააკაშვილს და მის გარემოცვას ახალი ავანტიურა-ტრაგედიისაკენ.

სააკაშვილის განცხადება – **„...მედვედევი სამხრეთ ოსეთში მის პირდაუბანელ პრეზიდენტთან შესახვედრად ჩამოვიდა და პირდაუბანელები ხვდებიან ერთმანეთსო!..“** ხომ არ ეგონა მარტო ჩვენ გვესმოდა და გავიგეთ, ეს უზრდელური, უკანასკნელ მაწანწალას რომ არ ეკადრება ისეთი განცხადება... პირადად მე მეორე დღესვე უამრავ წერილზე მომიწია პასუხის გაცემამ. ჩემი ავსტრიელი და გერმანელი მეგობრები და კოლეგები შეთანხმებულებივით ერთნაირი ტექსტებით მეკითხებოდნენ – **„თქვენი პრეზიდენტი კვლავინდებურად ლანძღვა-გინებით თუ აპირებს რუსეთთან საქმის მოგვარებას, დადგება დრო, როცა ასეთი საქციელის შემდეგ ჩვენს თანადგომას აზრი არ ექნება, რადგან რუსეთი მას ანგარიშს არ გაუწევს და მართალიც იქნება, რადგან რუსეთის წინაშე, ჩვენი ქვეყნები და მისი დიპლომატებიც აგებენ პასუხს, ქართული მხარის და მისი პრეზიდენტის საქციელზე!..“**

როგორ ფიქრობთ ჩემო თანამემამულენო – **არ ღირს ეს შენიშვნა დაფიქრებად?!.**

... რამდენადაც გავერკვიე, აფხაზეთის ეგრეთწოდებული მთავრობა და მისი წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში, საკუთარი სახლ-კარიდან გადმორეკილთა მიერ დაკავებული სახლ-სადგომების დაკანონების საკითხებითაა დაკავებული და როგორც იტყვიან – **საქმეში არიან ჩართულები!**

– სააკაშვილის და მისი მთავრობის გადაწყვეტილება, საკუთარი სახლებიდან გამორეკილებს დაუკანონონ ის სახლები და სადგომები, სადაც წლების მანძილზე არიან თავშეფარებულები, სხვა არაფერია, თუ არა საბოლოო ხელის აღება აფხაზეთის დაბრუნებაზე!.. და ესეც, სააკაშვილის ვალდებულებების უმნიშვნელოვანესი და შესაძლებელია უკანასკნელი, დამაგვირგვინებელი ნაწილია!

ამასვე ადასტურებს (**როზი ჯდამაიას**) ინტერნეტ ინფორმაცია ობამა-მედვედევის შეხვედრის შესახებ:

„ობამა-მედვედევის შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ღიად დარჩა. ობამამ გაისსენა, მაგრამ მედვედევმა კითხვა უპასუხოდ დატოვა. საქართველოში ზეიმის მიზეზი მაინც მოგვეცა – რადგან მოგვასსენეს, ე.ი. გვეშველებაო. თუმცა, ამ შეხვედრიდან, ძალიან მალე მედვედევი ცხინვალში ჩავიდა და რუსეთის პასუხიც გავიგეთ. ცოტა ხნით ადრე კი, ჟირინოვსკიმ საქართველოს კონფედერაციაზეც დაიწყო საუბარი, სადაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსს შეინარჩუნებდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი საკუთარი სიტყვის უკან წაღებას არ აპირებს.“

ბუნებრივია, ეს არის რეალური სურათი და პერსპექტივა და არა ის, რასაც სახეშეშლილი სააკაშვილი მისი ჭკუით „**ხალხს აბოლებს!**“

სამწუხაროდ, ამ ხალხს არაფერს ეკითხებიან, რომელთა ბედს მათგან დაუკითხავად ისინი წყვეტენ, რომლებმაც უკვალოდ გააქრეს 1994 წლიდან მოყოლებული, მათთვის გამოყოფილი **ოთხმილიარდნახევარი დოლარი!..** ეს ის თანხაა, რომელიც სახლ-კარ წართმეულ და უცხოობაში გადარეკილ მოსახლეობას უნდა მოხმარებოდა. როგორც ამბობენ, იგი თვალით არავის უნახავს და არც არავის მისვლია. **ეტყობა, ისევე უკვალოდ გაქრა, როგორც ოპოზიციის საკნებიდან დანაქადნები!..**

გამორიცხული არ არის, რომ საქართველოდან ასე მოულოდნელად და რადიკალურად სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ჩამოჭრის და საერთაშორისო საზოგადოების გაჩუმების (ბლეფია ყველაფერი, რასაც საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა ყვება, ჩვენთვის არავინ იკლავს თავს უცხოეთში. ამის მოწმე მე თვითონ გახლავართ ევროპაში, აგვისტოს ომის შემდეგ!) მიზეზი სწორედ უგზო-უკვლოდ დაკარგული უზარმაზარი თანხები იყოს, რომელსაც არანაირი შედეგი არ მოჰყოლია ზემოთხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად!..

გამომდინარე აქედან, **„მსოფლიო მბრძანებლებს“** უბრალოდ მოსწყინდათ საქართველოს გამო გამუდმებული თავის ატკივება და რუსეთის გადამტერება, რომელსაც ფინია ძაღლებივით უწკავწკავებენ **„ევროპულ საბჭოთა კავშირში“** (ევროგაერთიანებას რომ ეძახიან) შემავალი ქვეყნები და სამწუხაროდ ისე გადაწყვიტეს საქართველოს ბედი, როგორც ეს რუსეთს უნდა!

სამწუხარო დასკვნებს იქითკენ მივყავართ, რომ ყველაფერი ეს – **საქართველოს და აფხაზეთის გადმორეკილი მთავრობების გარეშე არ მომხდარა!**

მახსენდება, საქართველოში ევრობანკის დამაარსებლის და წლების განმავლობაში მისი დირექტორის ბატონი იურგენ შრამის შეკითხვა (ჩვენ დიდი ხანი ვმეგობრობდით ერთმანეთთან) შინაურულ შეხვედრაზე:

„– დავით წარმოდგენა თუ გაქვს რამდენია 10 მილიარდი დოლარი?“

არა მეთქი, გულახდილად ვუპასუხე!

– იცით რომ, საქართველომ სწორედ ამდენი დახმარება მიიღო მრეწველობის და

გაგრძელება 5 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

პოლიკარპე (ბუდუ) გურგენის ძე **მდივანი** დაიბადა 1877 წელს, პარტიის წევრია 1903 წლიდან. რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისში, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში. ცარიზმის დროს არაერთგზის იყო რეპრესირებული. 1921 წელს იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, 1922 წელს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პრეზიდიუმის წევრია, 1924 წელს ხდება საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში. 1931-1936 წლებში იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

თითქოს, ყველაფერი რიგზეა?

სამწუხაროდ, არა!

მდივნისნაირი ხალხისაგან ხრუშჩოვ-გორბაჩოვის პერიოდში **"ცეკას იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლები"** ქმნიდნენ **"ლენინური გვარდიის კოჰორტას"**, მაგრამ პირველად მდივანის სახელი ლენინის წერილებში გამოჩნდა 1922 წლის 26 სექტემბერს: **"ხვალ მდივანს უნდა შეეხვდე** (ქართველ კომუნისტს, რომელიც ეჭვმიტანილია დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებებში)". სწორედ მაშინ გაიგო პირველად ლენინმა ბუნებაში ამ მისი **"გვარდიელის"** არსებობის თაობაზე.

ფორმით მდივანი კომუნისტი იყო, შინაარსით კი ნაციონალისტისა და ტროცკისტის საოცარი ნაზავი (ეს მხოლოდ ზეთი და ძმარი არ შეერევა ერთმანეთს, თორემ, პოლიტიკაში, კაცი შეიძლება მემარცხენეებში წავიდეს და მოულოდნელად მემარჯვენეებიდან მოვიდეს).

მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, როცა ბერია საქართველოში გააგზავნეს, მდივანი და მისი მომხრეები კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკაში უმრავლესობას შეადგენდნენ. ***უმრავლესობა,*** პატივცემულო მკითხველო!

ფაქტიურად ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო და პოლიტიკურ გაერთიანებას და ცდილობდნენ საქართველოს მათგან განცალკევებას. თავიდან მდივანის ჯგუფი საბჭოთა კავშირის შექმნის წინააღმდეგი იყო, და როცა 1922 წლის ოქტომბერში რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ, ცდილობდნენ, რომ საქართველო მასში შესულიყო უშუალოდ და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ლენინის ნაშრომთა 54-ე ტომში მკაფიოდ არის აღნიშნული:

"ბუდუ მდივნისა და მისი მომხრეების ამგვარი პოზიცია ხელს აძლევდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და ქართველ მენშევიკებს და საქართველოს კომუნისტებმა თავიანთი აქტივის ყრილობებზე, კონფერენციებსა და კრებებზე საგსებით სამართლიანად შეაფასეს ეს, როგორც ნაციონალიზმისაკენ გადახრა..."

მაგრამ რამდენი იყო მაშინ საქართველოში კომუნისტი? ასე რომ, მდივანი საკმაოდ მიმზიდველი ფიგურა იყო მთელი ქართული ანტისაბჭოთა ძალის, ასევე კოხტაპრუწია ტროცკისათვის, რომელსაც კატეგორიულად არ უყვარდა საქმიანი სტალინი.

ამ აღწერილი ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ, 80-იან წლებში განვითარებული სამწუხარო მოვლენების აღწერისას მწერალ ფელიქს ჩუევს თავის წიგნში: **"ასე ამბობდა კაგანოვიჩი"**, მოჰყავს დიალოგი სტალინის ყოფილ **"რკინის სახალხო კომისართან"**:

"კაგანოვიჩი: **ის, რაც საქართველოში ხდება — კოშმარია!**

ჩუევი: **ქართველებს სურთ დასავლეთთან უშუალო სავაჭრო კონტრაქტების გაფორმება. უბრალო ხალხი ამით ვერაფერს მოიგებს.**

კაგანოვიჩი: **ისე, როგორც მდივანი მოითხოვდა ლენინის დროს. მათ ჩვენგან წასვლა სურთ.**

ჩუევი; **მაგრამ, აფხაზებს არ უნდათ.**

კაგანოვიჩი: **აფხაზები ქართველები არ არიან".**

ნუ დაგვავიწყდება ეს დიალოგი და დავუბრუნდეთ 1922 წელს. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, რომელსაც ემორჩილებოდნენ ეროვნული ცენტრალური კომიტეტები, მაშინ ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე. იგი კავშირის პრინციპული მომხრე იყო, გახლდათ გულმხურვალე ადამიანი და მისი დამოკიდებულება მდივნის ჯგუფისადმი საკმაოდ **"მხურვალე"** იყო. მით უმეტეს, რომ საქართველოს პარტიული მასები ორჯონიკიძის მხარეზე იდგნენ.

1922 წლის ოქტომბერში მდივანის ჯგუფმა პირდაპირ უჩივლა სერგოს მოსკოვში და პროტესტის ნიშნად საქმეს თავი გაანება. წამოიჭრა ეგრეთ წოდებული **"საქართველოს საკითხი"**. მე ვწერ, რომ **"უჩივლა"**, მაგრამ ეს არ გახლდათ მთლად საჩივარი. 21 ოქტომბერს ლენინმა ტფილისში გამოგზავნა შიფროგრამა, რომელშიც ეწერა:

"გაკვირვებული ვარ ორჯონიკიძის მისამართით დაწერილი და ცინცაძის მიერ ხელმოწერილი საჩივრის არაკორექტული ტონითა და გამონათქვამებით. კატეგორიულად ვგმობ ამგვარ კონფლიქტს და აუცილებლად მივიჩნევ, რომ იგი განხილული იქნას რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე..."

25 ნოემბერს პოლიტბიურომ დაადგინა, რომ საქართველოში გაეგზავნა კომისია ძერჟინსკის ხელმძღვანელობით. კომისიას უნდა შეემუშავებინა ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც დაალაგებდა საქართველოს კომპარტიაში არსებულ მძიმე სიტუაციას.

კომისიამ ტფილისში ორი კვირის განმავლობაში იმუშავა. 12 დეკემბერს ძერჟინსკიმ ლენინს მოახსენა ჩატარებული სამუშაოს თაობაზე. ტფილისში მოხდა კიდევ ერთი კონფლიქტი — სერგო ორჯონიკიძემ, ერთ-ერთი სადაო საკითხის განხილვისსა, ალიყური უთავაზა ბუდუ მდივანის ერთ-ერთ მომხრეს. სტალინი და ძერჟინსკი ამას მშვიდად შეხვდნენ, ლენინი კი აღშფოთდა. მაგრამ ამაოდ, რადგან ეს კამპანია სხვას მართლაც არაფერს იმსახურებდა.

და, ზუსტად 1922 წლის ნოემბერში ბერია ჩამოდის ტფილისში! ჩამოდის შუა ჩხუბში (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), და მაშინვე იჭერს სტალინისა და ორჯონიკიძის მხარეს.

თუ წარმოგიდგენიათ, პატივცემულო მკითხველო, ამ ნაბიჯით რამდენი შეურიგებელი და სიცოცხლისათვის საშიში მტერი გაიჩინა ლავრენტი ბერიამ?

გაიხსენეთ თუნდაც ლენინის შიფროგრამაში მოხსენიებული ცინცაძე, რომელიც ბოლშევიკი იყო 1904 წლიდან, მდივანთან ერთად მუშაობდა ქუთაისში, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი გახდა საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრი, საქართველოს ცენტრალური აღმასკომის წევრი, საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის თავმჯდომარე. ესე იგი, ტროცკისტი ცინცაძე (იგი პარტიიდან გარიცხეს 1927 წელს), რაღაც პერიოდში ბერიას უშუალო უფროსი იყო!

მეცოდება კიდეც, ბერია — თავისი პრინციპულობით!

მაშინ კონფლიქტი თითქოს მიაწყნარეს, მაგრამ, ფაქტიურად, დააკონსერვეს. 1928 წელს მდივანი გარიცხეს პარტიიდან ტროცკისტურ-ოპოზიციური მოღვაწეობისათვის. 1931 წელს მან მოინანია და პარტიაში აღადგინეს, მაგრამ 1939 წელს დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

სავსებით დამსახურებულადაც. სასიკვდილო განაჩენი რომ მოისმინა, ბუდუმ განაცხადა:

"მე მხოლოდ დასახვრეტი კი არა, ოთხად გასაჩეხი ვარ! ეს მე შემოვიყვანე საქართველოში მე-11 არმია, მე ვუღალატე ქართველ ერს და დავეხმარე ბერიასა და სტალინს, ამ ვიგინდარებს, რომ დაემონებინათ საქართველო და მუხლებზე დაეჩოქებინათ ლენინური კომუნისტური პარტია".

აი, ზუსტად ასე იყო!

ფრაზა **"ლენინური კომუნისტური პარტია"** მდივანმა ეფექტისათვის მოიყვანა. აი, მისი პოლიტიკური (და ადამიანურიც) სახე, მის ამ უკანასკნელ სიტყვებში, ნათლად გამოვლინდა. არა მგონია, თქვენში ამ სახემ დადებითი ემოცია გამოიწვიოს, მაშინ, როცა გაგარკვევთ, თუ როგორი იყო საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია 1937 წლის ზაფხულში და, როგორი გახდა იგი მომდევნო უახლოეს წლებში.

სხვათა შორის, 1922 წელს, მდივანის ჯგუფში შედიოდა სერგო ივანეს ძე ქავთარაძე. იგი თავადის შვილი გახლდათ, 1915 წელს დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მდივანის მსგავსად ბოლშევიკი იყო 1903 წლიდან, როცა თვრამეტი წლისა შესრულდა. უძღვებოდა სამუშაოებს ქუთაისში, ბათუმში, ტფილისში, ბაქოში, პეტერბურგში, არაერთგზის დააპატიმრეს. 1919 წელს საქართველოში გამოაგზავნეს — ისევე, როგორც ბერია — იატაქქვეშა საქმიანობის საწარმოებლად, აქაც ორჯერ დააპატიმრეს **"ანტისახელსუფლებო"** საქმიანობისათვის. 1920 წლის მაისიდან მუშაობდა კიროვთან — ისევე, როგორც ბერია — რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტფილისის წარმომადგენლობაში. 1922-1923 წლებში იყო საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 1924-1928 წლებში იყო სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. 1927 წელს შედიოდა ტროცკისტულ ოპოზიციაში, 1927 დეკემბერს კი კომპარტიის (ბ) XV ყრილობაზე გაირიცხა კომუნისტთა რიგებიდან.

პარტიაში იგი მხოლოდ 1940 წელს აღადგინეს! ამასთან, ეს პირწავარდნილი ტროცკისტი არასოდეს დამალულა, მას **"დიდი ტერორის"** რეპრესიები არ შეხებია, 1941 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აზიის განყოფილების უფროსად, შემდეგ კი სახალხო კომისრის მოადგილედ. ომის შემდეგ იყო ელჩი რუმინეთში, 1954 წელს გავიდა პენსიაზე, 1971 წელს კი გარდაიცვალა ოთხმოცდაექვსი წლის ასაკში.

აი, ასე! უპირველესად ვის კისერსაც უნდა შეხებოდა **"ჯალათი ბერიას"** ნაჯახი, იყო თავადის შთამომავალი ქავთარაძე. იგი იყო ტროცკისტი, რომელიც იატაკქვეშა მუშაობით იცნობდა **"მხდალ და მოღალატე"** ბერიას. მაგრამ სერგო ქავთარაძემ საბოლოოდ აქცია ზურგი პოლიტიკას და ამიტომაც არ ახლეს მას ხელი.

ისეთები კი, როგორებიც იყვნენ მდივანი, ორახელაშვილი და სხვები, ვერ ისვენებდნენ, ჭორებს ავრცელებდნენ, დაკავებული იყვნენ სიკოფანტიზმით (ნათესავების პოსტებზე დანიშვნით — მთარგმნელი), წვეთ-წვეთად ანთხევდნენ შხამს, დღედაღამ ბზუოდნენ... ბერია კი მტკიცე ბოლშევიკი-სტალინელი იყო. ამიტომ, მისი არსებობა უამრავ ვინმეს არ აძლევდა ხელს კავკასიის ვითომ ბოლშევიკთა ბანაკში.

"წერილში კავკასიელ ამხანაგებს", სტალინი აღნიშნავდა, რომ ტფილისელ ბოლშევიკებს განსაკუთრებული **"მიდრეკილება"** გააჩნდათ დისკუსიებისადმი. ეს მან იმით ახსნა, რომ ტფილისში მათ იდეური ბრძოლა უნდა გამოეცხადებინათ მენშევიკებისათვის. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ მიდრეკილებას დასთეს, ხასიათს მოიმკი, ხასიათს დასთეს — ბედს მოიმკი...

სიტყვიერი ბატალიებისადმი მიდრეკილებამ 20-იანი წლების საქართველოს პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობას ჩამოუყალიბა ყბედობის ზნე და არა კონკრეტული საქმეების გაძღოლის უნარი. სწორედ ამას ვერ იტანდა ბერია.

ამ ვაი-ლიდერთა შორის კი მიჩქმალული იყვნენ მენშევიკები. სტალინმა მათ ჯერ კიდევ 1907 წელს უწოდა **"ჩვენი კლოუნები"**, რასაც მას არასოდეს აპატიებდა ნოე ჟორდანია.

ჟორდანია ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ პოლიტიკისათვის თავი არ მიუნებებია. კარგად რომ გაგაცნოთ ჟორდანია, მოვიყვანთ მის ერთ გამონათქვამს: **"ვინ არის საქართველოში პროგრესული იდეების დამნერგავი? სომხები არიან ჩამორჩენილი, რეაქციული, მძარცველი (სავაჭრო) კაპიტალის წარმომადგენლები, რუსი ჩინოვნიკები — მიწათმფლობელები და კონსერვატორები. ევროპა — აი, ვინაა საქართველოს პროგრესისაკენ სვლის ორიენტირი".**

ჟორდანიას ბეჭდვითი ორგანო **"კვალი"** სისტემატურად ბეჭდავდა ნაპოლეონის, გლადსტონის, ბისმარკის სადიდებელ სტატიებს... ჟორდანიას პარტია განსაკუთრებით შესტრფოდა დიდ ბრიტანეთს, 1919 წელს კი ჟორდანია ამაყობდა იმით, რომ უკვე 25 წერდა დიდი ბრიტანეთის იმპერიის საქებარ წერილებს.

ბათუმიდან თურქეთში ემიგრირებისას ჟორდანიას **"ნაციონალისტურმა"** ხელისუფლებამ საქართველოდან გაიტანა ქინაქინის მთელი მარაგი, რაც ესოდენ აუცილებელი იყო საქართველოს მალარიით დაავადებული მოსახლეობისათვის (სხვათა შორის, ამ მარაგში ინახებოდა ქინაქინის დიდი პარტია, რომელიც მაშინ ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას ბაბუამ — ესტატე ჭაჭიამ შემოიტანა ევროპიდან საქართველოში და უსასყიდლოდ ურიგებდა დასავლეთ საქართველოს მალარიისაგან გატანჯულ მოსახლეობას — **მთარგმნელი**).

და ახლა, უცხოეთში მყოფი ჟორდანია საქართველოს სიკვდილს უსურვებდა, ისევე, როგორც საქართველოში დარჩენილი მრავალი მისი მხარდამჭერი. ერთნი შეთქმულებას ამზადებდნენ, სხვები — უბრალოდ, ზუზუნებდნენ... მაგრამ, არ შეიძლებოდა, რომ არც ერთნი და არც მეორენი ბერიას და მისი უწყების მხედველობის არეში არ მოხვედრილიყვნენ. 1923 წელს საქართველოში ჩეკას მიერ დაფიქსირებული 31 ბანდიდან 21 განადგურებულ იქნა, 123 ბანდიტი წინააღმდეგობის გაწევისას დაიღუპა, 377 ტყვედ ჩავარდა.

ბერიას განსაკუთრებული ზრუნვის საგანს ასევე წარმოადგენდნენ **"დაშნაკებიც"**, რომლებიც უკვე გასაბჭოებული სომხეთიდან ჯერ კიდევ მენშევიკურ საქართველოში გადმოიხვეწნენ. 1923 წელს დაშნაკთა ბირთვი, მათ შორის ტფილისის კომიტეტიც, დაპატიმრებულ იქნა. ახალციხის საიდუმლო საცავიდან ამოიღეს 11 ტყვიამფრქვევი, 33 ყუთი ხელყუმბარა, 70 შაშხანა, 30 ტომარა საარტილერიო დენთი, 70 ფილა დინამიტი და 500 ფუთი ვაზნები...

მაგრამ თავისტკივილი მაინც ქართველ კონტრრევოლუციონერებს მოჰქონდათ.

ისე, საინტერესო რამაა ადამიანის ბედი!

როგორ არ ეცადნენ ამოეჭრათ, ამოეფხიკათ და სამუდამოდ დაევიწყებინათ ბერიას მიმართ ნათქვამი თითოეული საქებარი სიტყვა. მაგრამ მასზე ჭეშმარიტებას ღაღადებდა არა უბრალო ვინმე, არამედ თვით **"პოლიტგამომცემლობა"**, და ისიც 1978 წელს, როცა მოსკოვში გამოიცა დავით ლევის ძე გოლინკოვის მონოგრაფია — **"ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის ნგრევა საბჭოთა კავშირში".**

გაგრძელება იქნება

როგორ აღმოჩნდნენ სააკაშვილი და კუბლაშვილი "ენგურჰესის" სამეთვალყურეო საბჭოში?

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ევროპასა და ამერიკაში უმუშევრობა და სიღატაკე უკვე ფრიად აქტუალურ პრობლემად იქცა. ამ ყველაფრის ფონზე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, იბერია მაინც მყარად დგას ფეხზე, არ დაბეჩავებულა და ყვავის კიდევაც.

როგორც ჩანს, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობას სააკაშვილი იმ თითო-ოროლა თანაგუნდელისა თუ მოგვარე-ნათესავის მდიდრული ყოფის მიხედვით საზღვრავს, ვინც სხვადასხვა ხრიკით ქერის ორმოში ჩავარდა და ხალხის ნაამაგარის „ათვისების" წყალობით მართლა „ყვავის".

ამის ნათელი დადასტურებაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენგურჰესის" თერთმეტწევრიანი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია ყოფილი პარლამენტარებითა და ჩინოვნიკებით. ისინი მაღალანაზღაურებადი პერსონები არიან და უამრავი პრივილეგიით სარგებლობენ მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ერთგული პოზიციისა და მათი დამქაშობის გამო.

საერთოდ, გაუგებარია, რისთვის არსებობს **"ენგურჰესის"** სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ენერგეტიკასთან არანაირი შეხება არ აქვთ. ისინი სახელისუფლო სტრუქტურების ყოფილი წარმომადგენლები არიან. მათ არასოდეს ჰქონიათ შეხება არაც თუ **„ენგურჰესთან"**, არამედ **რომელიმე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურთანაც კი.** არადა, ეს პიროვნებები **„ენგურჰესის" „მართვასა და მეთვალყურეობაში"** ყოველწლიურად ხელფასის, სატელეფონო საუბრების, სატრანსპორტო საწვავის, მივლინებისა და სხვა ხარჯების სახით სამასი ათასამდე ლარს იღებენ.

რედაქცია დაინტერესდა **„ენგურჰესის"** სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობით, თუ რაში იღებს თერთმეტი ყოფილი დეპუტატი და ჩინოვნიკი ამ გაჭირვებისას საკმაოდ სოლიდურ ხელფასს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სიაც მოვიძიეთ: **რამინ გოგოხია** (თავმჯდომარე), **კოტე მგალობლიშვილი, იაგო კუბლაშვილი, ნიკოლოზ სააკაშვილი, არნოლდ ჟვანია, რეზო ფირაშვილი, კახა სუთიძე, გიორგი ჩახვაძე, ფირუზ კოჩოშაშვილი, თამაზ მეჭიაური, ნუგზარ ფერიაშვილი (წევრები).**

ესენი **„ენგურჰესის" „მეთვალყურეობაში"** მრავალთათვის მიუწვდომელი ხელფასის (თავმჯდომარეს – 2000 ლარი, მოადგილეს – 1800, საბჭოს წევრებს – 1500), სატელეფონო საუბრების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების სახით იღებენ სოლიდურ თანხებს.

როცა საბჭოს ერთ-ერთ წევრს **იაგო კუბლაშვილს** დავუკავშირდით, მან ჯერ კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენთან საუბარზე, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს ათივე წევრს არ შევკრებდით, თუმცა მოგვიანებით ორ შეკითხვაზე პასუხი მაინც გვაღირსა:

– ბატონო იაგო, რას საქმიანობენ "ენგურჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები?

– ისეთს არაფერს, მხოლოდ სხდომებს ვესწრებით...

– ხართ თუ არა ერთ-ერთი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის ნათესავი?

– არა. მათთან არავითარი ნათესაური კავშირი არ გამაჩნია. მე რაჭველი კუბლაშვილი ვარ.

ჩვენ ასევე დავუკავშირდით საბჭოს კიდევ ერთ წევრს **ნიკოლოზ სააკაშვილს:**

– ბატონო ნიკოლოზ, „ენგურჰესში", როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, რა გევალებათ?

– მე უბრალო რიგითი წევრი ვარ, ვესწრები სხდომებს, რომლებიც ტარდება თვეში ერთხელ. განვიხილავთ ჩვენი კომპეტენციის ქვემდებარე საკითხებს და ვაძლევთ შემდგომ რეკომენდაციებს. ამ შემთხვევაში საბჭო გადაწყვეტილებებს არ იღებს.

– 300000-იან სახელფასო ფონდზე რას იტყვით, ამხელა ხელფასებს თვეში ერთხელ სხდომაზე დასწრებაში გიხდიან?

– ჩვენ არანაირ ფულს არ ვფლანგავთ, ეს აბსურდია, ვიღაცის მოგონილია. ვიღაც მანიპულირებს ამით. არავითარ მივლინებებში არ დავდივართ, არც დასასვენებლად და, საერთოდ... ამ ინფორმაციის თქვენთვის მომწოდებელი შანტაჟისტია.

მოგვიანებით იგი გამოტყდა, რომ ცოტა ხნის წინათ კანარის კუნძულებზე გახლდათ დასასვენებლად, გარუჯული კი იმიტომ არ იყო, რომ გული აწუხებს და მზეს ერიდება.

რაც შეეხება პრეზიდენტთან ნათესაურ კავშირს, უარყო. **„მე რომ პრეზიდენტის ნათესავი ვიყო, აქ ვიმუშავებდი?!"** – ასეთი არგუმენტი მოიშველია ყოფილმა დეპუტატმა.

ლეიბორისტული პარტიის წევრი გიორგი გუგავა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს „სააკაშვილის ნაცბანდის" წარმომადგენლებს უწოდებს:

– ასეთ საბჭოებში ხშირ შემთხვევაში უმაღლეს ხელისუფალთა ნათესავები და პარლამენტის ყოფილი წევრები არიან, მათ აქვთ საკმაოდ მაღალი ხელფასები თავისი პრივილეგიებით... ეს საკმაოდ სერიოზული და სოლიდური თანხებია. ამ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში შეხება არ აქვთ იმ სფეროსთან, წარმოდგენა არ გააჩნიათ იმ თემებზე, სადაც ისინი მუშაობენ. ჩასმულები არიან იქ, მარეგულირებელი კომისია იქნება ეს თუ სამეთვალყურეო საბჭო.

ყოფილი პარლამენტარი მაია ნადირაძე არის ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრი და ხელფასი 10.000 ლარი აქვს. რა შეხება აქვს მას ენერგეტიკასთან, წყალთან, გაზთან ან ფასთწარმოქმნასთან, ტარიფის დადგენასთან, საერთოდ, ამ სფეროსთან, გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა იგი ვერ ჩაწერა საპარლამენტო სიაში, სანაცვლოდ კი მისცა ისეთი ადგილი, სადაც პრაქტიკულად ყოველნაირად უზრუნველყოფილია.

ჩვენ კი ყოველდღიურად გვიძვირებს ტარიფებს დენზე, გაზზე, წყალზე.

იგივეა **„ენგურჰესის"** სამეთვალყურეო საბჭოც. იქაც ყოფილი პარლამენტარები არიან. კოტე მგალობლიშვილი მესამე მოწვევის პარლამენტის წევრია, ყველას რომ ერგებიან, ისეთი ტიპაჟები გახლავთ. იგივე თამაზ მეჭიაური, ნიკოლოზ სააკაშვილი, არნოლდ ჟვანია, რომელიც, თუ არ ვცდები, **„ნაციონალური მოძრაობის"** ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში. ამიტომ ამ დამსახურებების გამო ისინი კარგი ლაქიები, კარგი შემსრულებლები არიან ხონთქარი სააკაშვილის ნებისა.

იბერიაში 1 კილოვატ/საათი ელექტროენერგიის გამომუშავება ღირს 1 თეთრი. სწორედ ასეთი პერსონები რომ გვყავს შესანახი, რომლებიც 300.000 ლარს ითვისებენ წელიწადში, ამიტომაც გვაქვს დღეს 14-16-18 თეთრი ელექტროენერგიის საფასური 1 კილოვატსაათზე. ეს ფული მათ ბედნიერებას ხმარდება, პირად ანგარიშზე ილექება. ეს თანხები ჩვენ მიერ შრომით, ოფლით მოპოვებული სახსრების ხარჯზე გროვდება. ისინი ყოველდღიურად ყოფენ ჩვენს ჯიბეებში ხელს და იქიდან დაურიდებლად იპარავენ ფულს.

მათი ზოგადი შეფასება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ასეთი იყოს: ისინი ბანდიტები არიან.

რას აკეთებენ **„ენგურჰესის"** სამეთვალყურეო საბჭოში წევრები ფუნქციონალური თვალსაზრისით, გარდა იმისა, რომ ჰესი რუსებს მისცეს სამართავად?!

საბჭოს თავმჯდომარეები თვითონვე იწერენ 10-15-ათასობით პრემიებს. მათ, როგორც **„ნაცებს"**, პრეზიდენტისგან მწვანე აქვთ ანთებული და იმ რესურსებით, რომელიც ხალხს ეკუთვნის და მასვე უნდა ხმარდებოდეს, ქვეყნის კეთილდღეობას, იწყობენ პირად ცხოვრებას.

P.S. დამეთანხმებით, რომ, სულ ცოტა, საეჭვოა, როცა „ენგურჰესის" სამეთვალყურეო საბჭო, ძირითადად, პრეზიდენტის, სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკების მოგვარეებითა და „ნაცმოძრაობის" ყოფილი დეპუტატებითა თუ ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერებით არის დაკომპლექტებული. გარდა საბჭოს დაკომპლექტების კეთილსინდისიერებისა, ეს ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს სააკაშვილის ცნობილ განცხადებას ქამრების მოჭერისა და საბიუჯეტო თანხების მომჭირნედ ხარჯვის შესახებ. აქვე საკითხავია, სჭირდება კი „ენგურჰესს" სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ენერგეტიკის თვალსაზრისით არაკვალიფიციური, არაპროფესიონალი კადრებით, სახელმწიფო სტრუქტურების ყოფილი წარმომადგენლებით, რომლებსაც „ენგურჰესთან" არანაირი შეხება არ ჰქონიათ და ზოგიერთი მათგანი „ენგურჰესის" ობიექტებზე ერთხელ ნამყოფიც კი არ არის.

ნანა დიხამინჯია

მოსკოვი აფრიკით დაინტერესდა

„**Der Standard**"-ის მიხედვით, პრეზიდენტ მედვედევის აფრიკული ტურნე იმის მაუწყებელია, რომ რუსეთი თანდათან მსოფლიო ზესახელმწიფოს როლს უბრუნდება. **„რუსეთს აფრიკის კონტინენტზე გავლენის გაფართოება სურს – ამისთვის რუსეთის პრეზიდენტი აფრიკის ოთხ სახელმწიფოს – ეგვიპტეს, ნიგერიას, ნამიბიასა და ანგოლას ეწვევა",–** წერს გაზეთი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის თანმხლებ უმსხვილესი კომპანიების წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ აფრიკულ სასარგებლო წიაღისეულზე მიუწვდებათ ხელი. ცნობილი მსოფლიო ექსპერტების თქმით, რუსეთის ხელისუფლების აფრიკით დაინტერესება პრესტიჟის საკითხიცაა, ის ცდილობს, მსოფლიოს დაანახოს, რომ მხოლოდ მეზობელი ქვეყნები არ წარმოადგენენ მის ინტერესებს. საამისოდ რუსეთს მოუწევს, დაეწიოს ჩინეთს, რომელიც აფრიკული ქვეყნებისთვის გავლენიან სავაჭრო პარტნიორად იქცა. იმავე ექსპერტების მტკიცებით, ჩინეთს სულ სხვა მიზანი ამოძრავებს, პეკინი ორიენტირებულია ეკონომიკის ექსპანსიაზე და რესურსების მოწოდების გარანტიებზე ზრუნავს, რუსეთი კი ახალ ბაზარს ეძებს ენერგეტიკის სფეროს საკუთარი ტექნოლოგიებისთვის.

ეგვიპტეში არაბული სახელმწიფოების ლიგასთან შეხვედრისას დიმიტრი მედვედევმა აღნიშნა, რომ ახლოაღმოსავლური კონფლიქტის მოგვარება პალესტინის დამოუკიდებელი, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შექმნას უნდა ეფუძნებოდეს. მისივე თქმით, რუსეთი მზადაა ნიგერიაში ეკონომიკაში მილიარდი დოლარის ინვესტირებისათვის. ამ ვიზიტისას ხელი მოეწერა მოლაპარაკებას, რომლის თანახმადაც, ნავთობისა და გაზის სფეროში შეიქმნება ერთობლივი რუსულ-ნიგერიული საწარმო.

ომის ტრაგედია თუ მაღალ კაბინეტში დაგეგმილი მკვლელობა?

გაგრძელება

სოფლის მეურნეობის აღსადგენად. სამწუხაროდ, არცერთი სამუშაო ადგილი ამ თანხებით არ შექმნილა! რაც შეეხება 10 მილიარდ დოლარს, იგი ერთდოლარებიანად რომ დაახურდავო, მთელ საქართველოს ქოლგად გადაეფარებოდა!..

ბატონმა შრამმა ისიც მაგრძნობინა, ბოლო ფრაზა მთლად სერიოზულად არ უთქვამს, მაგრამ არც არაფერი რომ აკლდა, ამას მე თვითონ მივხვდი!..

თქვენ კი, ჩემო ოდაბადედაკარგულო დებო და ძმებო – **იცით რამდენია ოთხმილიარდნახევარი დოლარი, თქვენთვის რომ მისცეს საქართველოს კრიმინალ მთავრობებს?!.**

2004-ში, **„ვარდეკლიანების"** პარლამენტიდან აფხაზეთის ფრაქციის კინწისკვრით გამოგდებამ მეც აღმაშფოთა და უსამართლობად ჩავთვალე იგი. მაშინ შვეიცარიაში ვიყავი და უფრო იმაზე მომდიოდა გული ვერავის ვუზიარებდი ჩემს აზრებს. გერმანულ პრესაში, პირველ თვეებში, სააკაშვილის პოპულარობის ფონზე საპროტესტო წერილის გამოქვეყნებას უაზრობად მივიჩნევდი. მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნებულს, ერთმა ჩემმა მეგობარმა უამრავი მასალა დამახვედრა, თუ როგორ უძვრებოდა **„უხსენებელს"** აფხაზური ფრაქციის ყველა წევრი, 2-3 კაცის გარდა და როგორი ამაზრზენი და დამამცირებელი სანახავი იყო ყველაფერი ეს, მათი, სამშობლოდან გადმორეკილების მხრიდან!

ვისაც ჩემი ნათქვამი დაგაეჭვებთ, მოიძიეთ ეს კადრები და მშვიდად დააკვირდით – თქვენი **„ოდაბადე – აფხაზეთის"** პარლამენტიდან და აფხაზეთის მთავრობიდან გამყიდველებს!

დავით ქობალია

P.S. ცოტა ხნით, ზემოთხსენებულ (**როზი ჯღამაიას**) ინტერნეტ ინფორმაციას მინდა მივუბრუნდე. ჟურნალისტი ბ-ნ **პაატა ზაქარეიშვილის** ესაუბრება. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, ახალს არაფერს ამბობენ – ობამა-მედვედევის შეხვედრას საქართველოსთვის არაფერი მოუტანიაო...

„... აშშ-ს პრეზიდენტ ბარაქ ობამას განცხადება დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რომლის იქით არაფერი დგას. ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს თემა რუსეთთან სავაჭროდ სჭირდება და აწყობს კიდეც, რომ ეს კონფლიქტი არსებობდეს..."

და სრულიად მოულოდნელად ჟურნალისტის კითხვაზე:

– სააკაშვილამდეც გვქონდა აფხაზეთთან და ოსებთან პრობლემები და ასე რომ, ყველა ცოდვას ალბათ, მას ვერ მივაწერთ?

ზაქარეიშვილი პასუხობს:

– სააკაშვილმა დაასრულა ის, რაც გამსახურდიამ სამაჩაბლოში და შევარდნაძემ აფხაზეთში დაიწყო. სააკაშვილმა გააკეთა ის, რომ საქართველომ კიდევ დამატებითი ტერიტორიები დაკარგა, რუსები შევარდნაძეს და გამსახურდიას ვერ უბედავდნენ იმას, რასაც სააკაშვილს უბედავენ.

„ბრძნულად" ასკვნის ბ-ნი ზაქარეიშვილი! მაგრამ მას ავიწყდება (მე არ ვიცი მისი ასაკი და სახითაც არ მახსოვს), რომ გამსახურდიას, სამაჩაბლო კომუნისტების მიერ არეული და აჯანყებული დახვდა. ბ-ნ ზაქარეიშვილს ისიც ავიწყდება (ეჭვი მაქვს, რომ შეგნებულად ავიწყდება!), რომ გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისას **„უხსენებელი"** სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი და სკკპ პოლიტბიუროს წევრი იყო და თურმე, მას **„სტალინის მიერ ორად გაჟოფილი გერმანია გაუერთიანებია!.."**, როგორც ამას **„უხსენებელის ხელისგულგადატყავებული მედაფდაფენი ამტკიცებენ"** დარწმუნებული ვარ ეს **ბ-ნ ზაქარეიშვილსაც სჯერა.**

ამიტომაც ვეკითხები მას:

როგორ ფიქრობთ, რა გახდა 85 მილიონიანი გერმანიის გამაერთიანებელი **„უხსენებელისთვის"** ოციათასი ოსის ხუშტურების მოგვარება თუნდაც სსრკ-ს პოლიტბიუროს ერთ-ერთ რიგით სხდომაზე, თუ კი იგი ამ ბოროტების მთესველთა თანამონაწილე არ იყო სამაჩაბლოში?

მე გავიკითხე და მითხრეს ბ-ნი ზაქარეიშვილი პოლიტოლოგიაო! თუ ეს მართლა ასეა, ორლობის ჭორებს არ უნდა აჭყვეთ ბატონო პოლიტოლოგო, როცა ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე დაჯერებით საუბრობთ!

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.

კავკასიაში ეროვნული ფინანსური პოლიტიკის უქონლობის გამო სწორედ მუსულმანების ეკონომიკური მდგომარეობა წლითიწლობით უარესდება. სომხური პლუტოკრატია შეკრულ დანაშაულებრივ წრეს წარმოადგენს, რომელიც ფასს უკარგავს თათარ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა შრომას და დაუფლებულია მთელ ბაზრებს, კრედიტებს და, საერთოდ, ფულადი სახსრების მოძრაობას. მთელი კავკასია დაყოფილია რაიონებად, რომელიც დანაწილებული აქვთ დიდსა თუ პატარა სომეხ ბობოლებს, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ მუსულმან მოსახლეობას. დავუშვათ, ყარაიაზში ყიდულობენ თუთას და ყურძენს ვიღაც ხუბლაროვები, სოგომონიანები და ძმანი მათნი. სოფლის მეურნეობის პროდუქტი ხომ მალფუჭადია და თუ დროზე არ გაყიდი, გადასაყრელი გახდება. სწორედ ამ მომენტს იყენებენ სათავისოდ სომეხი ბობოლები. მუსულმანი გლეხი ქალაქში რომ წავიდეს პროდუქტების გასაყიდად, ბაზარში ჩარჩები არ შეუშვებენ, პოლიციელებიც ხომ მათ მხარეს არიან. ამიტომაც, ურჩევნია იმ კაპიკებს დასჯერდეს, რასაც მას სომეხი ქორვაჭრები მძიმე და აუტანელი შრომის საფასურად სთავაზობენ...

კავკასიური ყოფის თანამედროვე არანორმალურ პირობებში ძნელი წარმოსადგენია, რომ მევახშეთა მიერ ექსპლუატირებულ მუსულმანურ მოსახლეობაში გამოჩნდებოდა ახალი ეკონომიკური ძალა, შექმნიდა კონკურენტულ გარემოს და მაღლა ასწევდა მოსახლეობის ცხოვრების დონეს. ამგვარი ცდების წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ხოლმე ყოველგვარი საშინელება, თვით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულიც კი. კავკასიაში დიდი ხმაური ატყდა ე.წ. ხუბლაროვის საქმესთან დაკავშირებით – ეს გახლდათ ელიზავეტპოლის გუბერნიის სოფელ შალიში მომხდარი მკვლელობა. რუსმა მრეწველმა გადაწყვიტა არყის ქარხნის გახსნა მონოპოლისტ-სომეხ ხუბლაროვის **"კუთვნილ"** ტერიტორიაზე. რუსს ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ და ცდილობდნენ მის დაყოლიებას, რათა არ გაეხსნა ქარხანა. როცა რუსმა მრეწველმა ქარხნის პროექტის დასამტკიცებლად რამდენიმე თანამშრომელი გაგზავნა შუშის მაზრაში, ისინი გზაში მოკლეს, ამასთან, მათი დასაფლავება არ მოხერხდა რამდენიმე დღის განმავლობაში, რადგან სასამართლოს გამომძიებელს, ეროვნებით სომეხს მოვალეობის შესრულების საშუალება არ გააჩნდა, რომელიღაც ოჯახური დღესასწაულის გამო. შემდეგ მან მოჰკიდა ხელი საქმეს ფრიად ნაკლები ხალისით, მაგრამ აშკარა სამხილებს დამნაშავეები ვერ გაექცნენ და ხუბლაროვსაც მოუწია ციხის კედლების ხეხვა, რასაც ფულიანი სომხების გააფთრება მოჰყვა. განსაკუთრებით ბევრი სამხილი მოიპოვა არა გამომძიებამ, არამედ პოლიციის მოკვლევამ. შემდეგ დაიწყო იმ ხალხის დევნა, ვინც ხელი შეუწყო აღნიშნული დანაშაულის გახსნას. ამოქექეს მაზრის უფროსისა და უბნის პრისტავის მაკომპრომენტირებელი მასალები, ***რათა მათი ნდობის გაქარწყლებით შემდეგ შესძლებოდათ ოფიციალური საჩივრების შეთხზვა.*** ამავდროულად, ცილისმწამებლური ჭორი დაუყარეს შუშელ მიწათმფლობელს თათარ ჯაფარ-ბეგ ვეზიროვს, რომელიც დაინტერესებული იუო ამ საქმის გახსნით, იმიტომ, რომ მისი ერთ-ერთი ნათესავიც იქნა მოკლული. მოუჭორეს, რომ თითქოს ეს ვეზიროვი დიდად გავლენიანი კაცია, რომ იგი იბარებს ხალხს მეჩეთში და აიძულებს, რომ პირადად მას შეჰფიცონ ერთგულება(!). ამავე დროს, გავრცელდა ხმები, რომ ხუბლაროვის საქმეს, კავკასიის უფროსობის ბრძანებით, გადასცემდნენ სახალხო სასამართლოდან სამხედრო ტრიბუნალს, ხოლო ის პოლიციელები, რომლებიც ხუბლაროვს არ ეხატებოდა გულზე, დათხოვნილი იქნებოდნენ პოლიციიდან. იმასაც ამბობდნენ, რომ ხუბლაროვს ეხმარებოდა ტფილისში საქმიანი კავშირების მქონე ვიღაც ადგილობრივი, კავკასიური წარმოშობის არამზადა, რომელმაც რუსეთის გინებითა და სომხურ ინტრიგებში აქტიური მონაწილეობით მოიხვეჭა ავტორიტეტი. ამბობდნენ იმასაც, რომ ხუბლაროვის დასახსნელად უნდა დახარჯულიყო ორმოცი ათასიდან ასი ათას მანეთამდე. სომხური პრესა ლირიული ფონით ალამაზებდა ხუბლაროვს, ***მაშინ, როცა მისი გამოსაშკარავებელი წერილების გამოქვეყნების საშუალებას ცენზურა არ იძლეოდა.***

შუშაში გაემგზავრა სამხედროსაოლქო სასამართლოს გამსვლელი სესია სამხედრო მოსამართლე ივანენკოს თავმჯდომარეობით. ის, თუ როგორი ობიექტურობით მიმდინარეობდა როგორც წინასწარი, ასევე სასამართლო გამოძიება, დაადგენდა მიუკერძოებელი რევიზორი, რომელიც იქ გაგზავნილი არ იქნა. ეჭვს არ იწვევს სამი ფაქტი: პროკურორის თანაშემწემ საბრალდებო სიტყვის ნაცვლად ხუბლაროვის გამამართლებელი სიტყვა კარგ საღღეგრძელოსავით წარმოთქვა, რომელიც შემდგომ ანშლაგით დაიბეჭდა მოსომხო გაზეთში **"ახალი მიმოხილვანი"**. შემდეგ – განაჩენის გამოტანამდე სამი დღით ადრე, როცა არავის არ უნდა სცოდნოდა სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე, მთელი შუშა ემზადებოდა გრანდიოზული აზიური პურ-მარილის მოსაწყობად, რომელშიც შემდეგ მონაწილეობა მიიღო მთელმა გამსვლელმა სესიამ, გარდა ერევნის პოლკში მომსახურე ერთი პოდპოლკოვნიკისა, ხოლო ივანენკომ ლირიული მისალმება გამოაცხო ხუბლაროვის მიმართ (ველიჩკოს სიკვდილიდან სამი თვის შემდეგ ეს ფაქტი გამოაქვეყნა რუსულმა გაზეთმა "Русский Вестник", რაც შემდეგ, წერილობით, მაგრამ ძალზე უსუსურად და არადამჯერებლად უარყო კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ, ბატონმა მაკედონსკიმ). მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს არის სიტყვიერი შემოკამათება და არა არსებულ მტკიცებულებათა ფაქტობრივი უარყოფა. ამიტომ, არავითარი ცვლილება არ შეგვაქვს მასალებში, მით უმეტეს, რომ ავტორი ფრიად სერიოზულ ზნეობრივ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საქმის შედეგებს, რადგან, **"ხელშეუხებელი"** სომეხი მონოპოლისტების პრესტიჟის საქმედ მიაჩნდა იგი.

რაც შეეხება ჯაფარ-ბეგ ვეზიროვს, მთელი გუბერნიის გასაოცრად, იგი დააპატიმრეს. ვეზიროვი საკმაო ხანს ჰყავდათ დაპატიმრებული, ბოლოს კი, უდანაშაულო, ავადმყოფი ბერიკაცი გაანთავისუფლეს, და უბრალოდ, მიუგდეს ორიოდ სიტყვა: "**pardon monsineur**!".

შემდეგ... ყველაფერი **"თავის ადგილზე"** დადგა. ახალ კონკურენტებს ხალისი დაეკარგათ, რომ **"ყოვლისშემძლე"** სომხებისა და მათი დამქაშებისათვის რაიმე სახის წინააღმდეგობა გაეწიათ. კავკასიის ყველა პატიოსანი ადამიანი, განსაკუთრებით კი რუსეთის არმიის წარმომადგენლები, აღშფოთებულნი იყვნენ ამ უმსგავსოებით. მათ ბევრი იხმაურეს, ისაუბრეს, შემდეგ კი, ამ ბინძურ საქმეს სხვა ბინძური საქმე ჩაენაცვლა და ხუბლაროვის საქმეც დავიწყებას მიეცა.

კავკასიის სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თათრებისათვის უცხო არ არის დაქირავებული მკვლელობების არსებობა და ცრუმოწმეობა. ამის მიზეზი საკმაოდ რთულია, ყოველი შემთხვევისათვის, არ შეიძლება ეს ხარვეზი მთლიანად აზერბაიჯანელ მუსულმანებს დავაბრალოთ. დაქირავებული მკვლელები და ყაჩაღები ერთ ჭრილში უნდა განვიხილოთ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ცრუმოწმეობა – სამწუხარო, თითქმის საყოველთაო მოვლენაა, რომელიც ეფუძნება არა იმდენად მუსულმანი მოსახლეობის ხასიათს, რამდენადაც საგარეო მიზეზებს. აზერბაიჯანელი თათარი რელიგიურია და ცხოვრებაში მართალი; იგი საიმედო მეგობარია, სიტყვის კაცია, უფრთხილდება კარგი კაცის სახელს. ***სასამართლოზე კი იგი უეჭველად იცრუებს.*** ერთის მხრივ, იგი გარკვეულია ჩვენი სასამართლოს პრინციპებში, მეორეს მხრივ – მას ნერვებს უშლის ჩვენი სასამართლო საქმის წარმოება. მას ენერგიული, სპორტული ადამიანის სულისკვეთება გააჩნია; შეჯიბრებითი პროცესი მისთვის არ წარმოადგენს ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას: იგი მისთვის ბრძოლაა, რომელიც მის სიმართლეს ამარჯვებინებს. დამატებით, ჩვენი სასამართლო, რომელიც ხშირად არ ითვალისწინებს ადგილობრივ ადათ-წესებს და მცნებებს, და ასევე ხშირად უშვებს შეცდომებს ცხოვრებისეული სიმართლის დადგენისას, ვერ უნერგავს მუსულმანს იმ ნდობას, რომლის გავლენითაც ადამიანი არასოდეს იცრუებს. როგორც იატაკქვეშა, ასევე ის ადვოკატურა, რომელიც არც მთლად ირონიის გარეშე **"ნაფიცს"** უწოდებენ, და რომელიც მზადაა დაიცვას ყველა და ყველაფერი, თავად უბიძგებს დამნაშავეებს და მოწმეებს სიცრუისა და კანონის აბუჩად აგდებისაკენ. ამას თუ დავუმატებთ მძიმე მატერიალურ და საყოფაცხოვრებო პირობებს, რაც აქვეითებს ზნეობრივ დონეს, და იმ პირობებსაც, რომელშიც მუშაობა უწევს ჩვენს ჩინოვნიკობას და სასამართლო უწყებებს, მაშინ შეიძლება გავამართლოთ კიდეც აზერბაიჯანელი მუსულმანებისა და მთლიანად კავკასიელთა უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი სასამართლოს მიმართ.

უაღრესად ვნებს საქმეს, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რომელიც სასამართლო საქმის წარმოებისას გამოიყენება, ისიც, რომ სასამართლოს მოხელეებმა არ იციან ადგილობრივი ენები და ისიც, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ ნაკლებად საიმედო თარჯიმანები. ადგილობრივმა მოსახლეობამ კარგად იცის, რას წარმოადგენენ ეს თარჯიმანები და ამიტომაც არიან განწყობილი სკეპტიკურად ჩვენი სასამართლოების მიმართ. არის, აგრეთვე, ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც – აზერბაიჯანელ თათართა ფსიქოლოგია. ისინი საუკუნეთა განმავლობაში შეეგუენ იმას, რომ მათი აღალარებისა და ხანების მკაცრი გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ სრულდებოდა. ე.ი. დამნაშავეს ან იქვე ჩამოკიდებდნენ ჭადრის ხეზე, ან მთელ ქონებას წაართმევდნენ. სისხლის სამართლის დანაშაულის ცნება გაიგივებული იყო სამოქალაქო დანაშაულის ცნებასთან, რაც ზოგჯერ თვით ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. მაგალითად, თუ ხაბაზი იმდენად გააძვირებდა პურს, რომ ეს ხალხის მასიურ უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაშინ ხანი ან ყადი ამ ხაბაზს ყურით მიალურსმავდა კარზე და ასე ამყოფებდა, ვიდრე იგი უარს არ იტყოდა ცხოვრებისათვის ესოდენ აუცილებელი პროდუქტისათვის მევახშური ფასის დაწესებაზე. ეს წესი დღესაც მოქმედებს სპარსეთში. თანამედროვე კანონმდებლობისათვის ეს ნერვების მომშლელი და სასტიკი ღონისძიებაა, ადგილობრივი ზნეობრიობის თვალსაზრისით კი – რაციონალური, ვიდრე ჩვენი ხანგრძლივი წერილობითი სასამართლო საქმის წარმოება თავისი აპელაციებით, კასაციებით, მეურვეობის ქვეშ აყვანით და გადასახლებით, საიდანაც ნებისმიერი გაბედული ჯიგიტი თავისუფლად გაიქცევა. ***სწორედ ამ ორი უკანასკნელი მიზეზის გამო მოწმე უფრთხის სწორი ჩვენების მიცემას, რადგან იცის, რომ დამნაშავე უეჭველად იძიებს შურს*** – ან მოჰკლავს, ან ცეცხლს მისცემს მის ეზო-კარს. ეს საფუძვლიანი შიში სასამართლო საქმის წარმოებას აძნელებს არა მხოლოდ კავკასიაში. ასე რომ, ეს უბედურება მხოლოდ მუსულმანთა უკულტურობას რომ მივაწეროთ, არ ვიქნებით მართლები.

აშკარაა, რომ ამიერკავკასიის მკვიდრი მაცხოვრებლებისათვის, ნაწილობრივ კი მუსულმანებისათვის საჭიროა სხვა, ღრმად გააზრებული სასამართლო საქმის წარმოება, რომელიც ჯეროვნად დარეგულირდებოდა. მუსულმანთა გავლენიანი წრეები არ ეწინააღმდეგებიან რუსული სკოლის შემოღებას, სომხებისა და ზოგიერთი ქართველი პატრიოტისაგან განსხვავებით. ამიერკავკასიის ხელისუფლება კი ძუნწობს სომეხ პოლიტიკანთა, ვაჭრების, პროვინციელი ჩინოვნიკებისა და იმ სხვა ადამიანების გასახარად, ვისაც ხელს აძლევს მუსულმანი მოსახლეობის მიერ რუსული ენის არცოდნა, რათა დიდი ხნის მანძილზე გაუწიონ მათ ექსპლუატაცია. სომხებს ისიც აძლევს ხელს, რომ რუსებში მუსულმანებზე გავრცელდეს არც თუ კარგი შეხედულება როგორც უკულტურო ელემენტზე, ველურ და ყოველმხრივ არასაიმედო ხალხზე. სომხური სულისკვეთების მქონე პრესისათვის იმის გამოქვეყნება, რომ თათარი ყაჩაღები სულს უმწარებენ მშვიდობისმოყვარულ **"ქრისტიანებს"**, ესე იგი სომხებს, მათი ნამდვილი დღესასწაულია.

14. ყაჩაღობები

ყაჩაღობა ადგილობრივი ყოფის დიდ წყლულს წარმოადგენს. ამ სახის დანაშაულებს ძირითადად სჩადიან აღმოსავლეთ კავკასიაში მუსულმანები, დასავლეთ საქართველოში კი ქუთაისის გუბერნიის, ზღვისპირეთის და ახლადჩამოყალიბებული ბათუმის ოლქის მცხოვრებლები. ყაჩაღობებზე და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე მთელი ტომები შექმნილი, მაგრამ ამ უბედურების სამკურნალო პანაცეა ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი. ნათელია, რომ ეს დაავადება აწუხებს არა მხოლოდ ორგანიზმის რომელიმე ნაწილს, არამედ მთლიან ორგანიზმს. რთულია მისი წარმოქმნის მიზეზებიც.

ერთის მხრივ – პარტიზანული ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, სახელმწიფოს მიერ სამშვიდობო პროცესების ნაკლებად უზრუნველყოფა, ფეთქებადი ხასიათი, სპორტულობა, გმირობის ჩადენის წყურვილი, აღგილობრივი მოსახლეობის ნერვიული გაუწონასწორებლობა; მეორეს მხრივ – მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რაც ხალხზეა თავსმოხვეული: სომეხ ექსპლუატატორთა მიერ ხალხის მყვლეფავი სისტემის დაკანონება, უპრინციპო და გამყიდველური ბუნების მქონე მოსამსახურე კლასი, გაურკვეველი საგვარეულო-საადგილმამულო დამოკიდებულებები, კლანური სისხლიანი ანგარიშსწორებები; საერთო ჯამში კი – უსამართლობის მთელი კასკადი, რომელიც ბინძური ტალღებით ახრჩობს მთელ ადგილობრივ ცხოვრებას.

გასაკვირი არ არის ის ამბავი, რომ ისეთი ყაჩაღები, როგორიცაა **არსენა** ტფილისის გუბერნიაში, **ხან-ბაბა** ბაქოს გუბერნიაში, **ქერიმი** ელიზავეტპოლის გუბერნიაში, გვიანდელ პერიოდში კი **ალაი-ბეგ მურზაკულოვი** ტფილისისა და მის მიმდებარე გუბერნიებში, დიდი ხნის განმავლობაში ახერხებდნენ თავის შენახვას და ხალხში საკმაოდ პატივსაცემ პიროვნებებად იყვნენ აღიარებულები. ეს ადამიანები იყვნენ არა მხოლოდ ბანალური ყაჩაღები, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, მიჩქმალული სამართლიანობის აღმდგენ-დამცველები. ისინი ძარცვავდნენ და კლავდნენ მათ, ვინც ხალხს ავიწროებდა, ამასთან, ავლენდნენ რა სიმარჯვისა და სიმამაცის გასაოცარ უნარს, აკმაყოფილებდნენ თავიანთი თანამემამულეების ზნეობრივ და მხატვრულ მოთხოვნილებებს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ფოლკლორისა და მითოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი

ხალხურ ფოლკლორსა და მითოლოგიას თვალსაჩინო და გამორჩეული ადგილი უკავია გამოჩენილ მეცნიერთა შემოქმედებაში: ფოლკლორული მასალები ხომ სიბრძნის წყაროა, რომელიც ხალხის მიერ არის შეკრებილი და ჩაწერილი. ეს მასალები მართლაც რომ საუნჯე და სიამაყეა ჩვენი ერისა.

ტერმინი **„ფოლკლორი“** ინგლისური წარმოშობის სიტყვაა, რაც ნიშნავს ზეპირ შემოქმედებას. იგი ზეპირსიტყვიერების ფორმაა. ზღაპრები, ლექსები, შაირები, ანდაზები, გამოცანები და სხვა, რომელიც ხალხში არის გაბნეული, მოითხოვს შეკრება-შეგროვებას და ჩაწერას იმისათვის, რათა არ დაიკარგოს ერის ეს საუნჯე.

ქართული ფოლკლორი და მითოლოგია, რომელიც თავისი არსით ეროვნულია, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა თვალსაწიერში მოექცა.

ქართული ეროვნული ფოლკლორის შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს-პროფესორებს: ქსენია სიხარულიძეს, მიხეილ ჩიქოვანს, ელენე ვირსალაძეს, ალექსანდრე ღლონტს, კორნელი დანელიასა და სხვებს.

წინამდებარე სტატიის მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენი თანამემამულის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ აპოლონ ცანავას ფოლკლორული და მითოლოგიური შემოქმედება.

ქართულ ფოლკლორისტიკაში აღნიშნავს პროფესორი აპოლონ ცანავა, **„საინტერესო ზეპირსიტყვიერების ძირითადი საკითხები საკმაო სისრულით არის შესწავლილი“**. გამოქვეყნებულია ტექსტებიც **„ვარიანტებითა და მეცნიერული კომენტარებით“**. ამ საინტერესო ზეპირსიტყვიერების კვლევაში დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. ქსენია სიხარულიძეს.

პროფესორ აპოლონ ცანავას მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული ფოლკლორული და მითოლოგიური მასალები, მართლაც ძვირფასი მარგალიტები და განძია ერისა. მის მიერ შესწავლილ იქნა შემდეგი ფოლკლორული ხასიათის მასალები: **„სატირა და იუმორი ანდაზებსა და გამოცანებში“; „სატირა და იუმორი მრავალსიტყვაობაში“, „სატირულ-იუმორისტული ზღაპრებისა და პოეტური ნიმუშების ზოგიერთი ჟანრობრივი და მხატვრული თავისებურებანი“** და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, ფოლკლორის დარგში. წინამდერომ პროფესორმა აპ. ცანავამ თავის ფოლკლორულ შემოქმედებაში, საგანგებოდ შეისწავლა ქართული პროზის კლასიკოსის ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, რომელსაც მიუძღვნა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევა **„კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება“**.

პროფ. აპ. ცანავამ ამ ნაშრომში, წინა პლანზე წამოსწია წარმართობის პრობლემა კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. ბატონ კონსტანტინეს ნაწარმოებები – **„დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“** და **„მთვარისა და წმინდა გიორგის კულტი„** სწორედ რომ ზემოთ აღნიშნულ ამ პრობლემას ეძღვნება; მაგრამ, კ. გამსახურდიას შემოქმედებაში **„ხალხური წყაროებისადმი დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი არ იყო, როგორც ეს აღნიშნულია ადრინდელ ნოველებსა და რომანებში“**.

გარდა ქართული ფოლკლორული მასალებისა, პროფ. აპ. ცანავამ ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა **„კავკასიის ხალხთა მითოლოგია“**. როგორც პროფ. აპ. ცანავა აღნიშნავს. **„კავკასიის ხალხებში გაერცელებულია მითოლოგიური გადმოცემები ღვთაებებზე. ეს ღვთაებები კი თავის მხრივ განაგებენ ბუნების ძალებს. ბუნების ძალებს წარმოადგენენ მდინარეები, ტყეები, ტბები, ზღვები, მთის მწვერვალები და სხვა, ხოლო სამონადირეო ღვთაებები კი ანაწილებენ ნადირს, სამონადირეო ღვთაებების წყალობის გარეშე მონადირეს არ შეუძლია ნადირის მოკვლა. წესის დამრღვევი ყოველთვის ისჯება“.**

ქართული მითოლოგიის პერსონაჟთაგან უნდა დავასახელოთ ოჩოკოჩი, მესეფი, ანთარი, დალი და სხვა. ტარდებოდა სხვადასხვა სახის რიტუალი (ხეხუნჯობა, თერდობა, მალანურობა...).

კავკასიის ხალხთა მითორელიგიური წარმოდგენები, წერს აპ. ცანავა, ბოროტი და კეთილი სულების შესახებ, ძალზე საინტერესო სურათს იძლევა. **„ქართულ მითებში ბოროტ სულებად წარმოდგენილია დევები და ქაჯები, ოჩოკოჩები, ტყის კაცები, ოჩოპინტრე და სხვა“.**

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი სასიქადულო თანამემამულის, პროფესორ აპოლონ ცანავას მოღვაწეობა მეგრული ფოლკლორის სფეროში. ეს ბარე ნაშრომის მიზანს არ შეადგენს მეგრული ფოლკლორის სრული მასალების სახით წარმოდგენა, ვინაიდან ეს მასალები ამოუწურავია. ხაზს ვუსვამთ მხოლოდ ბატონ პროფესორის დიდ წვლილსა და დამსახურებას მეგრული ფოლკლორული ჟანრის წამოტივტივების თვალსაზრისით.

პროფ. აპ. ცანავამ, რომელსაც ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ბატონ გივი ელიავასთან და მის მიერ დაარსებულ მუზეუმის კოლექტივის წევრებთან, ბევრი რამ გააკეთა მხარის ფოლკლორული მასალების კვლევა-ძიებისა და მისი შესწავლის მიზნით. ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურს წარმოადგენს პროფ. აპ. ცანავას არაერთი წერილები მუზეუმის ხელმძღვანელისა და მის თანამშრომელთა მისამართით. წერილებში იგრძნობა ის სითბო და სიყვარული მშობლიური მხარის მიმართ, რომლითაც გამსჭვალულია ზემოთ ნახსენები წერილები. აი, მოკლედ ამ წერილების არსი.

პირველი წერილის შინაარსი ასეთია:

“პატივცემულო გივი!

შენი წერილებიდან ჩანს, თუ რა დიდი პერსპექტივები ისახება მომავალი მუშაობისათვის, თუ რამდენი რამ არის გასაკეთებელი, შესაგროვებელი, მოსაძებნი და დასადგენი.

შენს წერილებში წამოყენებული დებულება უაღრესად პრინციპული მნიშვნელობის მეცნიერული დებულებაა, რომელიც მე დამაჯერებლად მიმაჩნია, ამ მიმართულებით კვლავ გააგრძელეთ მუშაობა, როცა ჩამოხვალ თბილისში, დამიკავშირდი და პროფ. ვარლამ თოფურიასთან მივიდეთ, ეს წერილი შეიძლება უფრო ფართე სახით დაიბეჭდოს ცენტრალურ გაზეთში ან სამეცნიერო კრებულში. მომავალი წლის გაზაფხულზე შევეცდები (უსათუოდ) ჩვენს ან მეზობელ რაიონში მოვაწყო ფოლკლორული ექსპედიცია, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება მუზეუმის თანამშრომელთა მონაწილეობაც.

მოკლე ხანში გამოგიგზავნი ფოლკლორულ მასალების შესაკრებად გამოსადეგ ცნობარს.

ამჟამად, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ გააფართოვოთ მუზეუმის კორესპოდენტების (ჩამწერთა) ქსელი. ამ საქმეში ჩააბით სკოლების მასწავლებლები (ლიტერატურის) და უფროსი კლასის მოსწავლეებიც, აგრეთვე ცალკეული ენთუზიასტი შემკრებნი. ზამთარი ახლოვდება, ამ დროს შეიძლება ზღაპრების, თქმულების, ლეგენდების, ანდაზების, ანეგდოტების, გადმოცემების და ა. შ. ჩაწერა. ამგვარი მუშაობა მასიური უნდა გახდეს.

ყველა საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა და უფროსი კლასის მოსწავლემ თითო ზღაპარიც რომ ჩასწეროს და მოიტანოს, მთელი ტომის მასალა უკვე მზად გვექნება.

ერთი სიტყვით, გისურვებ ყოველივე კარგს და წარმატებებს შენს ამ მეტად სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატივისცემით: აპოლონ ცანავა
23.IX.59 წ. თბილისი”

წერილი მეორე

“პატივცემულო ბატონი გივი!

გისურვებ ყოველივე კარგს, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობაში. მომიკითხეთ თქვენი სახელოვანი მუზეუმის კოლექტივის ყველა წევრი, რომლებსაც მე დიდად ვაფასებ და პატივს ვცემ.

დიდ მადლობას მოგახსენებთ მოპატიჟებისათვის, დიდად ვწუხვარ, რომ თეზისები ზუსტად 25 ოქტომბერს მივიღე, ხვალ ე. ი. 26 ოქტომბერს კი წლიურ თემას ვკითხულობ ინსტიტუტში, ამიტომ ვერ ვესწრები თქვენს გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას. რამდენად სასიხარულოა, რომ ოცდამეოთხედ ატარებთ სესიას. ნამდვილი გმირობაა, გილოცავთ ამ წარმატებას.

გულდასხმით გავეცანი სესიის მოხსენებათა თეზისებს, მეტად საინტერესო მოხსენებებია. სულითა და გულით მიულოცე ჩემგან ყველა მომხსენებელს. ძალიან კარგია, რომ ქუთაისის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები, რომ მონაწილეობენ სესიის მუშაობაში.

ჩვენი აკადემიის ფოლკლორის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო 1979 წლის იანვრის ბოლოს ატარებს ტრადიციულ კონფერენციას. დიდად სასურველი იქნებოდა თქვენი მონაწილეობა. ჩვენ ამის თაობაზე დეკემბრისათვის ოფიციალურად გაცნობებთ. თქვენ წიგნში (ტოპონიმებზე) ძალიან ბევრი საინტერესო მასალაა.

პატივისცემით, აპოლონ ცანავა
თბილისი, 25.X.78 წ. “

წერილი მესამე

“პატივცემულო ბატონო გივი!

ყოველივე კარგს გისურვებთ, წინსვლასა და გამარჯვებას ყველა საქმეში, მოკითხვა თქვენს ოჯახსა და მუზეუმის თანამშრომლებს.

ჩემო გივი! თუ ვინმეს ახარებს შენი კარგი საქმიანობა და წარმატება, ერთ-ერთი მათ შორის მეც მიგულავ; ამაში დარწმუნებული ვარ და, ალბათ, ასე გაგრძელდება ბოლომდის.

უპირველესად, მე მაინტერესებს თქვენი საქმის კეთილმოსურნე პირმა უაღრესად ნიჭიერმა ახალგაზრდა პროფესორმა კორნელი დანელიამ იკისროს თქვენი წიგნის რედაქტორობა. საქმისათვის ასე სჯობია. მე მას ველაპარაკე, ძალიან კმაყოფილია თქვენი საერთო მუშაობით. თქვენი შრომა გადაეცი, აგრეთვე ჩემი კუთვნილი „გეგეჭკორის რაიონისა და აბაშის ტოპონიმიკა“, რომელიც მას არ ჰქონია და გთხოვთ, თუ ზედმეტი ცალი გაგაჩნიათ, გამოუგზავნოთ. ჩემი დადებითი შეხედულება მე მას ვუთხარი, თვითონაც კარგად შეხვდა ამ საქმეს. იგი თქვენი პირველი წიგნის კვალობაზე წაიკითხავს ამ შრომას, ყველაფერს გააკეთებს, რომ ენობრივი და სტილისტური შეცდომები არ გაიპაროს, ერთი სიტყვით, მე მგონია კარგი საქმე გაკეთდა იმით, რომ კორნელიმ იკისრა თქვენი შრომის რედაქტორობა. მოკლე ხანში დაამთავრებს წაკითხვას და თავის მოსაზრებას გვეტყვის, ჩვენც ისე მოვიქცეთ, რომ ყველაფერი გაკეთდეს კარგად, აუჩქარებლად.

მე წავიკითხე, უაღრესად საინტერესო მასალებია წიგნში წარმოდგენილი, ოღონდ მას სჭირდება კორნელი დანელიასთანა გაწაფული, ჩაკირკიტებული რედაქტორი, რათა რაიმე უზუსტობა არ გაიპაროს ენობრივ-სტილისტური. კორნელი ხელმძღვანელობს აკაკი შანიძის ტომების დაბეჭდვას. მე ვფიქრობ, ყველაფერი საიმედო კაცის ხელშია და ბოლო კეთილი იქნება. რეცენზიას წიგნზე ან ცალ-ცალკე ან ერთად დავწერთ მე და კორნელი.

ჩემო გივი! ნუ ინერვიულებთ, კარგ საქმეს ყოველთვის კარგი დასასრული ექნება.

პატივისცემით: აპოლონ ცანავა
27.V.81 წ.”

ამრიგად, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმელთათვის მარად დაუვიწყარია ცნობილი ფოლკლორისტი, მუზეუმის ერთგული მეგობარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპოლონ ცანავა. მისი სიმპათია და სიყვარული მუზეუმის მიმართ, უპირველესად განაპირობა ბატონ აპოლონის თავმდაბლობამ და მისი მარტვილისადმი, მშობლიური სოფლის – ნახუნაოსადმი ესოდენ დიდმა სიყვარულმა.

ამბროს ფაილოძე

„ალმა-მატერის“ სიამაყე – პროფ. კორნელი დანელია

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ ცოდნის თეთრ ტაძარში, ვინ მოთვლის – რამდენ სახელმოხვეჭილ მსოფლიო დონის მეცნიერებს უმოღვაწნიათ. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიო ადგილი უჭირავს მარტვილის რაიონის სოფ. ნაჯახაოში დაბადებულსა და გაზრდილს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფ. კორნელი დანელიას.

მისი მეცნიერული წრთობა დაიწყო მაშინ, როცა იგი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად აკ. წერეთელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტუდენტი გახდა. ნიჭიერმა და ყველასაგან გამორჩეულმა სტუდენტმა ბატონმა კორნელიმ, მყისვე მიიპყრო ქართული ენის კათედრის გამგის, პროფ. ქეთევან ძოწენიძის ყურადღება.

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე ბატონ კორნელის დაკრძალვის დღეს 1997 წლის 2 ოქტომბერს წარმოთქმულ სამგლოვიარო მიტინგზე ბრძანებდა: **„პროფ. ქეთევან ძოწენიძემ მრავალთა შორის გამოგარჩია შენ, უბრალო მეგრელი ბიჭი, რომელსაც მაშინ კუჭუჭის ეძახდნენ. გამოგარჩია სწორედ შენი არაჩვეულებრივი ნიჭიერების გამო და ხელი შეუწყო ამ ნიჭის სწორი გზით წარმართვას. მისი რეკომენდაციით გახდი შენ დიდი აკაკი შანიძის ასპირანტი და ერთგული მოწაფე“.**

ქართული ენის პატრიარქის, აკად. აკაკი შანიძის ღირსეული მოწაფის და მემკვიდრის, ახალგაზრდა მეცნიერის ბატონ კორნელი დანელიას მიერ ქართულ ენათმეცნიერებაში განვლილი გზა განუყრელად იყო დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ძველი ქართული ენის კათედრა, რომელსაც დიდი აკაკი შანიძე ხელმძღვანელობდა, ბატონ კორნელის იდეალი იყო. ამ კათედრაზე ჩამოყალიბდა ბატონი კორნელი, როგორც მეცნიერი და შესანიშნავი ლექტორი. წლების მანძილზე იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, აკაკი შანიძის გარდაცვალების შემდეგ კი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე.

აუწერელია პროფ. კორნელი დანელიას წვლილი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი ბრძანდებოდა ღირსეული მოწაფე აკად. აკაკი შანიძისა. კორნელი დანელიას კალამს ეკუთვნის 160-ზე მეტი ნაშრომი. ამ ნაშრომთაგან, რომელიც პროფ. კ. დანელიას მადლიანმა კალამმა შექმნა, 8 სქელტანიანი მონოგრაფიაა.

ისევე როგორც ბატონ კორნელის დიდი მასწავლებელი აკაკი შანიძე, ასევე თვით კორნელიც წარმატებით იკვლევდა როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული ენის საკითხებს. სწორედ ამაშია მსგავსება დიდი მასწავლებლისა და მოწაფისა. ასევე აღსანიშნავია ბატონ კორნელის წვლილი ქართველური ენებისა და დიალექტების შესწავლაში.

როგორც პროფ. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს – **„პროფ. კორნელი დანელია მეცნიერული კვლევის პროცესში წარმატებით იყენებდა ძველი ბერძნული, სირიული და სომხური ენების მონაცემებს. იკვლევდა ქართველურ ენათა სტრუქტურას, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას, პოეტური ენის საკითხებს“** .

საყოველთაოდ ცნობილია ის, რომ ბატონ კორნელის მეცნიერულ მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეკავა უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლასა და პუბლიკაციას.

პროფ. კორნელი დანელიას ძველი ქართული ენის დიდი სპეციალისტისა და პირველხარისხოვანი ტექსტოლოგიის სახელი მოუხვეჭა, მის მიერ გამოცემულმა **„პავლეს ეპისტოლეთა ქართულმა ვერსიებმა“**, ევთალეს სტიქომეტრიამ, პარიზულმა ლექციონერმა და სხვა გამოცემებმა, რომლებსაც მაღალი შეფასება მისცეს როგორც ქართველმა, ასევე საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა.

პროფ. კორნელი დანელიას მეცნიერულ თვალსაწიერში განსაკუთრებული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე თარგმანთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, აგრეთვე ქართული ენის უცხო ენებთან კონტაქტის პრობლემები და სხვ. სამწუხაროდ, ბატონი კორნელი ვერ მოესწრო ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამოცემას.

ბატონ კორნელის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო კურსის – **„ქართველოლოგიის შესავლის“** დაფუძნება. მის სახელს უკავშირდება ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის ისეთი მონოგრაფიების შექმნა იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეზე, რომლებშიც ასახვა პოვა ამ ორი გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებამ და მისმა დიდმა მეცნიერულმა ღვაწლმა, რომელიც მათ დასდეს ქართული ენათმეცნიერების განვითრებას.

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, პროფ. კორნელი დანელია ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იგი, მის სათაყვანო უნივერსიტეტში წლების მანძილზე კითხულობდა კოლხური ენის კურსს – ძველ ქართულ ენასა და სალიტერატურო ენის ისტორიას.

პროფ. კორნელი დანელიას რედაქციით, 1997 წელს გამომცემლობა **„ინტელექტმა“** გამოსცა **„მეგრულ-ქართული ლექსიკონი“**, რომელიც მნიშვნელოვანი შენაძენია იმ მეცნიერმკვლევართათვის, რომლებიც ენათმეცნიერების საკითხებით არიან დაინტერესებულნი. წიგნის ავტორია გივი ელიავა.

ამბროს ფაილოძე
მეცნიერმუშაკი

ზემოთ – ლარსი, ქვემოთ – ყარსი და მიშას მორიგი ფარსი...

ქართული ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის ბოლო დროის ყველა გახმაურებულ შეხვედრას ფინანსურ დახმარებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მათი ნამდვილი მიზანი იყო პირდაპირი კავშირის დამყარება კრემლთან!

„კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ მედვედევსა და მთელ მის გუნდს შესანიშნავი მიღებისა და ეფექტიანი თანამშრომლობისათვის!“ – თუ სტენოგრამებს დავუჯერებთ, მოსკოვში ვიზიტისას აშშ **44**-ე პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** თავის გამოსვლებში **44**-ჯერ გადაუხადა მადლობა თავის **44** წლის კოლეგას – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ **დიმიტრი მედვედევს**, ასევე პრემიერ-მინისტრ **ვლადიმერ პუტინს** და ყველა დანარჩენს გულდია რუსული სტუმართმოყვარეობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. ის არ მალავდა თავის კმაყოფილებას: **მიმდინარე წლის 6-8 ივლისის ისტორიულ სამიტზე რუსეთი და ამერიკა შეთანხმდნენ ყველაფერზე, იმაზეც კი, რაზეც არ შეთანხმებულან (საქართველოსა და უკრაინაზე), რაც, უდავოდ, როგორც რუსული, ასევე ამერიკული დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვებაა!**

მოლაპარაკებები, პრესკონფერენციები და შეხვედრები, რომლებიც რეფორმატორმა პრეზიდენტებმა **ობამამ, მედვედევმა** და პრემიერმა (ექს-პრეზიდენტმა) **პუტინმა** გამართეს, მთელი მსოფლიოსთვის პოლიტიკური კეთილგონიერებისა და კომპრომისის ხელოვნების ეტალონად იქცა: ორივე მხარემ წარსულს ჩააბარა მეტოქეობა, მეორე პლანზე გადაწია ზოგიერთი უთანხმოება და, პრაქტიკულად, ერთდროულად დაიწყო „საშინაო მარაგების“ – **ამერიკული „გადატვირთვისა“** და **რუსული „ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის“** ამოქმედება.

ამავე დროს, **შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოსდა ეს საპრეზიდენტო მასტერკლასი საგანგებოდ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ჩატარდა – მათი თითოეული საჯარო გამოსვლა** (მაშინაც კი, როცა იბერიას არც ახსენებდნენ) **შეიცავდა რამდენიმე მესიჯს, რომლებიც ჩვენი პოლიტიკოსებისთვის იყო განკუთვნილი!**

თითქოსდა სრული გულღიაობის ატმოსფერო, რომელიც თავისი მნიშვნელობით უნიკალურ სამიტზე სუფევდა, მთავარ მოქმედ პირთა ზედმიწევნით მკაფიო გამონათქვამები და ფორმულირებები, ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის **ლავროვის** უნაკლო ინგლისური (ხშირად რომ უსწორებდა პროფესიონალ თარჯიმნებს და ამით აშშ პრეზიდენტს გულწრფელად აღაფრთოვანებდა!), მრავალმნიშვნელოვანი ახსნისა და ეჭვების საფუძველს არ იძლეოდა, მაგრამ **იბერიის მთელი პოლიტიკური სპექტრის – ხელისუფლებაში მყოფი დემაგოგებისა და ბუტაფორიული ოპოზიციის, „სამეფო კარის“ ექსპერტ-პოლიტოლოგებისა და ზემოჩამოთვლილ ბატონებსა და, ამავე დროს, უცხოეთის სპეცსამსახურებზე მომუშავე „ჯიბის“ მედიის არაადეკვატურმა, ზოგჯერ აბსურდამდე დაყვანილმა შეფასებებმა, ასევე, ზოგიერთი რუსი „გოსდუმელი“ და „ორდენის საძმოს“ – ფელგენგაუერ-ილარიონოვ-ლატინინების ინტერპრეტაციებმა** მაიძულეს, მიმემართა თემებისთვის, რომლებზეც ამ დღეებში ისედაც ბევრი დაიწერა.

ასე და ამგვარად: სამიტის შემდეგ ყველა იბერიელმა პოლიტიკოსმა გამოთქვა აზრი, რომ **ბარაკ ობამას** არ გადაუცია საქართველო **„გამოსასყიდად“** – არ გამოუყენებია ის სავაჭრო მონეტად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საჭირო შეთანხმებების მისაღწევად რუსეთთან. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა უპრეცედენტო** უწოდა ამერიკის მხრიდან მოსკოვში იბერიისთვის მხარდაჭერას: ***„მთელი ამ თვეების მანძილზე გვესმოდა და გვესმის ზოგიერთებისგან, მათ შორის, ჩვენი თანამემამულეებისგანაც, რუსეთის მიერ შემოგდებული ტყუილი, რომ იბერია იზოლაციაშია, რომ თავისი ხელისუფლების წყალობით დაკარგა დასავლეთისა და დემოკრატიული მსოფლიოს მხარდაჭერა. არადა, ნახეთ: ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც რუსეთისა და შტატების მოსაზრებებს შორის მთავარ განსხვავებას წარმოადგენდა, იყო იბერიის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომელსაც ამერიკამ უპირობოდ დაუჭირა მხარი!“***

ახლა კი ერთ-ერთი მოკლე ფრაზათაგანი საქართველოს შესახებ, რომელიც **ობამამ** მოსკოვის ვიზიტისას საჯაროდ წარმოთქვა: ***„პრეზიდენტ მედვედევთან ერთად ჩვენ განვიხილეთ ის საკითხებიც, რომლებზეც ჯერ კიდევ უთანხმოებანი გვაქვს. კერძოდ, განვიხილეთ საქართველოს საკითხი. გავიმეორე ჩვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს პატივი უნდა ვცეთ. ჩვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით საქართველოს საზღვრების საკითხშიც, თუმცა არც ერთი ჩვენგანი არ არის დაინტერესებული სამხედრო კონფლიქტით, ამიტომ ეს უთანხმოებანი მშვიდობიანი გზით უნდა მოვაგვაროთ“.***

ძვირფასო მკითხველო, როგორც უკვე შენიშნეთ, აქ ლაპარაკია საქართველოს **საზღვრები-სუვერენიტეტი ტერიტორიული მთლიანობის (განუყოფელი, სამერთიანი საკითხი!) პატივისცემის შესახებ,** მაგრამ არაფერია ნათქვამი **აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსზე მის შემადგენლობაში** და, რაც ყველაზე მთავარია, ქარაგმულადაც არ ხსენებულა **ვაშინგტონის წინა ადმინისტრაციისა და პრეზიდენტ ბუშის მიერ იმპერატივში აყვანილი სენტენცია, რომ საქართველო აშშ სტრატეგიული ინტერესების ზონას წარმოადგენს!**

პუტინთან საუზმის შემდეგ კი *(როცა რუსეთის პრემიერმა შეაფასა საქართველოში ომის წინა მოვლენები და მიუთითა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მაშინ აშშ პოზიციის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა და იგი თავისი გეგმების მხარდამჭერად აღიქვა)* **ბარაკ ობამამ** განაცხადა, რომ **აშშ ამიერიდან გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინაში.**

განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშშ წინააღმდეგი არ არის, თუ საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობა-სუვერენიტეტ-საზღვრებს აღიდგენს რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ზონაში დაბრუნებით?! აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად რუსეთთან მოკავშირეობის ხელშეკრულების ხელმოწერით და, ამავე დროს, ფედერაციულ მოდელზე დათანხმებით საქართველო ხომ ერთიანი სახელმწიფოს წიაღში დაიბრუნებს აფხაზეთსა და ოსეთს, უზრუნველყოფს მოქალაქეთა თავისუფალ მიგრაციას მთელ თავის ტერიტორიაზე, დააბრუნებს ლტოლვილებს საკუთარ სახლებში, აღადგენს ეკონომიკას და მოახდენს მის ინტეგრირებას, ამ თვალსაზრისით მიმზიდველი გახდება სოხუმისა და ცხინვალისთვის, დაუბრუნდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას სრულუფლებიან წევრად და სამუდამოდ დაივიწყებს სავიზო რეჟიმს რუსეთის ფედერაციასთან!

დიახ, შტატებმა არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ისევე, როგორც 2008 წელს რუსეთმა არ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა: ეს ერთადერთი საკითხია, რაშიც მათი პოზიციების თანხვედრა არ მოხდა, თუმცა შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილს ლონდონში „**G-20**“-ის ეკონომიკური სამიტის წინ, როცა აშშ ახალარჩეული პრეზიდენტი **ობამა** პირველად შეხვდა რფ პრეზიდენტ **მედვედევს**, საქართველოს პრობლემაც, ასევე, თითქმის ერთადერთი აღმოჩნდა, რომელზეც ოფიციალურ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მე მაშინ გამოვთქვი აზრი, რომ **ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა მსოფლიო პოლიტიკაში,** როცა ოფიციალური შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს (გულისხმობს) არგაცხადებული შეთანხმების მიღწევას (კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოსთან დაკავშირებით). *„საქართველოს თემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ არგუმენტად ამ დიდ ვაჭრობაში, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, იმით დასრულდება, რომ საქართველოს მიატოვებენ. ამაში დარწმუნებული ვარ. ეს ახლა მოხდება თუ მოგვიანებით, მნიშვნელობა არ აქვს!“* განა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელმაც კომენტარი გაუკეთა „G-20“-ის ფარგლებში გამართულ იმ შეხვედრას, დღეს ცამდე მართალი არ აღმოჩნდა?!

დარწმუნებული ვარ, რომ ახალი რეალიები – **ნეგატივისთვის წერტილის დასმისა და უკუთვლის დაწყების აუცილებლობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, საქართველოსა და ერთმორწმუნე რუსეთს შორის პარტნიორობის უალტერნატივობა** ნათელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი **ილია მეორესთვის**: ჩვენ **„ზემოთ“ ხომ ლარსია** (საზღვარი რუსეთთან), **ხოლო „ქვემოთ“ – ყარსი** (თურქეთი, რომელთანაც 1921 წელს ხელმოწერილ იქნა ყარსის ხელშეკრულება)... ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა, რომ **ილია მეორეს** მიერ მოსკოვში გაგზავნილი საქართველოს **საპატრიარქოს დელეგაცია** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა **კირილემ** მიიღო, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ აშშ პრეზიდენტი **ბარაკ ობამაც** ეწვია.

არ ვიცი, ესმით თუ არა ეს **ქართული ოპოზიციის** ლიდერებს, თუმცა ეჭვი არ მეპარება: **ქართული ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის ბოლო დროის ყველა გახმაურებულ შეხვედრას** (**გაჩეჩილაძისა** და **გამყრელიძისა** – საქართველოს შინაგან საქმეთა ექს-მინისტრ **თარგამაძესთან, ბურჯანაძის** შეხვედრა ბიზნესმენ **პინჩუკთან,** შეხვედრები **ლევან პირველთან, ებრალიძემელაძესთან** და ა.შ.) **ფინანსურ დახმარებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა – მათი ნამდვილი მიზანი იყო პირდაპირი კავშირის დამყარება კრემლის ადმინისტრაციასთან ზემოჩამოთვლილი პირების მეშვეობით, იმ მიზნით, რომ მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში „საგზური“ მიეღოთ!**

განვაგრძოთ: სამიტზე საქართველოს პრაქტიკულად უარი უთხრეს **NATO**-ში გაწევრებაზე – **ობამამ** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებას მხარი უნდა დაუჭიროს **ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ** და რომ ნატოში მხოლოდ **სუვერენულ ქვეყნებს** იღებენ, რომლებმაც **რეფორმები განახორციელეს** *(მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის, სასამართლო სისტემის, დემოკრატიის მშენებლობისა და მასმედიის თავისუფლების დაცვის სფეროში – ა. ხ.).*

განა ვინმესთვის საიდუმლოა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია ნატოში გაწევრებისა და კვლავ მეგობრობა სურს რუსეთთან, სადაც მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს?! სურს, უწინდებურად ჰქონდეს შრომის, განათლების, სამედიცინო დახმარების მიღებისა და დასვენების უფლება, სურს, დაუბრკოლებლად ესტუმროს ნათესავებსა და მეგობრებს რუსეთში, ჰქონდეს საშუალება, თავისი წინაპრების საფლავები მოინახულოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში?!

ხოლო რაც შეეხება **ქვეყნის სუვერენიტეტს,** როგორც ნატოში გაწევრების აუცილებელ პირობას, **საქართველოს სუვერენობის მოპოვება ძალუძს მხოლოდ რუსეთთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით, მაგრამ მაშინ ალიანსის წევრობის საკითხი თავისთავად მოიხსნება დღის წესრიგიდან: რუსეთსა და დსთ ქვეყნებს თავიანთი სამხედრო-თავდაცვითი კავშირი აქვთ – ОДКБ.**

დიდ სირთულეს არ წარმოადგენს იმის მიხვედრა, ვისთვის იყო განკუთვნილი **ობამას** შემდეგი მესიჯები: ***„ქვეყნები, რომლებსაც უყვართ ომები და ატერორებენ თავიანთ მოსახლეობას, დამარცხდებიან... დემოკრატიული მთავრობები უფრო საიმედო სავაჭრო პარტნიორები არიან... შეიძლება ჩვენ არ მოგვწონდეს, რომ ვიღაც ზეგავლენის მოხდენას ცდილობს უკრაინასა და საქართველოზე, მაგრამ თუ დამოუკიდებლობა ისაა, რაც ამ ქვეყნებს სჭირდებათ, მაშინ ისინი დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ამერიკისგანაც და რუსეთისგანაც!“*** ნუთუ აშშ პრეზიდენტი საქართველოს მიერ სახელმწიფო ნეიტრალიტეტის მიღების მომხრეა?! განა საქართველოს **პრეზიდენტი ყოველდღე არ ნათლავს საქართველოს ნეიტრალური სტატუსის მომხრეებს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებლებად?!**

არ მგონია, **ობამა „რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებელი“** იყოს, თუმცა აშშ პრეზიდენტის ბევრი თეზისი **მრავალპოლარული მსოფლიოს შესახებ რუსულ კონცეფციას** ავითარებდა, ხოლო თავისი სიტყვით – ***„ის დრო, როცა იმპერიები დანარჩენ ქვეყნებს ჭადრაკის ფიგურებივით ეპყრობოდნენ, წარსულს ჩაბარდა... ჩვენი თანადამოკიდებულების წყალობით, ნებისმიერი მსოფლიო წესრიგი, რომელიც ერთი ქვეყნისა ან ადამიანთა ჯგუფის მეორეზე ზეაღმატებას შეეცდება, უთუოდ დამარცხდება“*** – მან, პრაქტიკულად, დაასამარა **„ორი ბ“**-ს **თეორია – „დიდი საჭადრაკო დაფის“** ავტორის **ბჟეზინსკისა** და ექს-პრეზიდენტ **ბუშის** ამერიკის გლობალური დომინირების ფილოსოფია: **აშშ უსაფრთხოებას ქმნის, სხვები კი მას მოიხმარენ!**

ამას კი **ობამა** ეუბნება **პუტინს**, რომელსაც ხშირად ქართული პოლიტისტებლიშმენტი წინდაუხედავად არცთუ სახარბიელო სიტყვებით მოიხსენებდა: ***„დიდად მადლობელი ვარ, რომ შეხვედრისთვის დრო გამონახეთ. გუშინ არაჩვეულებრივი დიალოგი გვქონდა პრეზიდენტ მედვედევთან. ჩემთვის ცნობილია იმ ჩინებული სამუშაოს შესახებ, რომელიც რუსი ხალხის საკეთილდღეოდ გაწიეთ თქვენს უწინდელ, პრეზიდენტის თანამდებობასა და ახლაც, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას. ვფიქრობ, ახლა შესანიშნავი საშუალება გვაქვს, რუსულ-ამერიკული ურთიერთობები მკვიდრ საძირკველზე ავაგოთ...“***

თუმცაღა ჩვენს პოლიტიკოსებს მესიჯებს მხოლოდ **ობამა** კი არა, **მედვედევიც** უგზავნიდა: ***„რასაკვირველია, პერსონალური ურთიერთობები მთავარი არ არის, მაგრამ მათ გარეშე სახელმწიფოთაშორის ნორმალურ ურთიერთობებს ვერ ააგებ! და ძალიან კარგია, როცა, ერთი მხრივ, სახელმწიფოთაშორისი და პირადი ურთიერთობები ჰარმონიაშია“.***

P.S. რუსეთის ეკონომიკის სკოლის კურსდამთავრებულთა წინაშე გამოსვლისას ამერიკის პრეზიდენტმა ღრმა პატივისცემა გამოხატა უკვდავი რუსული კულტურის მიმართ: ***„თქვენ დიდი მემკვიდრეობის მატარებლები ხართ. ეკონომიკის ფოკუსი ამ სამუშაოს გაგრძელებაა. როგორც პუშკინმა თქვა – შთაგონება გეომეტრიაშიც ისევეა საჭირო, როგორც პოეზიაში“.***

დიახ, **ობამა**, საბედნიეროდ, **„მატარებლის გამცილებელი“** და **მაკეინივით „ქართველი“** კი არა, იმ **ამერიკულ ფასეულობათა მატარებელი** აღმოჩნდა, რომელსაც ყოველთვის პატივს ვცემდით: **ჰემინგუეის, ფოლკნერისა და მარკ ტვენის, თანასწორ შესაძლებლობათა, ტექნიკის საოცრებათა ქვეყნისა და ჯაზის სამშობლოს ფასეულობათა მატარებელი!** და თუ ამერიკის ადმინისტრაცია ამიერიდანაც ამავე **„რელსებზე“** იმოძრავებს, **ობამა** ისტორიაში აშშ **უდიდეს პრეზიდენტად შევა... ლინკოლნის, რუზველტისა და კენედის** შემდეგ!

არნო ხიდირბეგიშვილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

– იცით, რამ უფრო შემზარა და აღმაშფოთა? – დაიწყო რომანოვმა: – დედოფლის ნათქვამმა კარეტაში, ქუთაისიდან რომ მოვდიოდით, წარმოიდგინეთ, მთელი გზა თითქო უხაროდა ეს ამბავი და გამარჯვებულივით იძახდა: ჩემი სამაგიერო გადაუხადეს, გაგარინს, ალბათ, ღმერთმა მოჰკითხაო... ჩემი ბავშვების გაძარცვა უნდოდა... უპატრონო ქვრივი, ვინ იცის, სად უნდა გადამკარგონ! ნახავთ, თუ ბარიატინსკისაც შერჩეს ეს ამბავი, მაგისთვისაც მოიცლის ღმერთი! ვენაცვალე დადეშქელიანს! ის-და გამოგვექომაგა მე და ჩემს შვილებს... ახლა მაინც გაიგებენ, რომ მთავრები არც ისე ადვილი ხელწამოსაკრავები არიან, როგორც ჰგონიათ... და სულ ამის მსგავსებს ლაპარაკობდა მთელი გზის განმავლობაში. მისმა ნალაპარაკევმა თავზარი დამცა... ჩემთვის უფრო საზარელი ის იყო, რომ ვფიქრობდი, იქნებ ჭკუაშეშლილ ქალთან ვზივარ-მეთქი... ბოლოს, ქალი გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნით. ერთბაშად ცრემლის ღვარი წამოსკდა თვალთაგან და ისტერიკა დაემართა. კარეტა გავაჩერებინე, იქვე ახლოს წყარო ყოფილა და წყალი შევთავაზე. პირი დაიბანა, ცოტაოდენი მოსვა, ხელპირი გაიგრილა, ცოტათი დამშვიდდა, და ჩვენც განვაგრძეთ გზა. ამას შემდეგ ხმა არ ამოუღია...

ამ ნაამბობმა ძალაუნებურად დამაფიქრა. საცოდავს ეკატერინეს თავის სიცოცხლეში ბევრი მწარე წუთები გამოუვლია, და თავის შეკავება ყველას როდი შეუძლია...

თითქმის შემოგვათენდა, მე და რომანოვმა რომ დავიძინეთ.

მეორე დღეს საათის 9-ზე, კოლუბიაკინმა გაგვაღვიძა, ისიც დედოფლის გასაცილებლად წამოსულიყო. ნაშუადღევს უკან დედოფალიც გამოჩნდა შვილებითა და ამალიტურთ, ბუბუა-ხიდთან კარეტაში გადასხდნენ და ყველანი გამოვემგზავრენით. სადამოს ორპირში ვიყავით და იქვე მოვიტანეთ მთელი ბარგი. ბავშვები მოგზაურობით დაღლილები იყვნენ და ადრევე დავაწვინეთ. მე და ის ლაპარაკს როგორღაც ვერ ვახერხებდით, თუმცა ის ყოველთვის ალერსიანად იყო ჩემთან. ქუთაისის ამბით ძალიან ვიყავით შეწუხებულნი, ბაასი სულ ერთისა და იმავე საგნის გარშემო ტრიალებდა. მალე შემოგველია სალაპარაკოც. ეკატერინეს ღამენებისა ვუსურვე და ჩვენს ჩვენს ოთახებისაკენ გავემართენით.

გათენდა ოქტომბრის 25, წასვლის დღე. რიონის ნავსადგურში იდგა მშვენიერი სამთავრო სანდალი, ოდესღაც სტამბოლიდან მოტანილი და მის გვერდით იდგა კიდევ ორი სანდალი ეკატერინეს ბარგისა და მოსამსახურეებისათვის. სახელდახელოთ ვისაუზმეთ და გამოთხოვების წამიც დადგა. გულისამაჩუყებელი სურათი იყო. აუარებელი კაცი და ქალი იდგა ჩიქოვანებისა, დედოფალს ხელებს და კაბის კალთას უკოცნიდნენ. ყველა ქვითინებდა. ჩვენის ოფიციალური მდგომარეობის მიუხედავად, მე და კოლუბიაკინსაც აგვიჩივლა გული მათმა ყურებამ. სხვადასხვა გარემოებით გამოწვეულმა შეხლა-შემოხლამ კნეინასთან ჩვენი კარგი ურთიერთობა შეარყია; მაგრამ მის გულწრფელ მწუხარებას გულგრილად ვეღარ ვუცქეროდით, როგორც მისი მახლობელი ადამიანები; და ჩვენს ოფიციალურ მდგომარეობას არ შეეძლო ჩვენი მისდამი კეთილი გრძნობა ჩვენში ჩაეხშო.

აჰა, ჩვენთანაც მოვიდა და ხმის ამოუღებლივ გულში ჩაეკრო ნ. კოლუბიაკინს:

– მაპატივეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძევ... მაპატივეთ და ნუღარ მოჰკითხავთ დამწუხრებულ, გაუბედურებულ ქალს...

ამ წუთას ეკატერინე მშვენიერი რამ იყო. გამოწრთობილ, მზემოკიდებულ და უკვე ხანშიშესულ სახეზე კოლუბიაკინს ცრემლი ჩამოუგორდა...

მერე დედოფალი ჩემთან მოვიდა, მეც მხურვალედ გადამეხვია, და სახე ცრემლით დამილტო.

– მაპატივეთ, მაპატივეთ... ცუდათ არ მახსენო... ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენდამი ეს გახლავსთ: ჩიქოვანებს არაფერი მიწყენინოთ, მათი თავი თქვენთვის ჩამიბარებია... მართალია, თქვენ უკმეხად გექცეოდნენ, მაგრამ მე ერთგულად მემსახურებოდნენ... ნუ გაუჯავრდებით, გეთაყვა.

უკვე სანდალში იჯდა, ისე რაღაც მოაგონდა და მომიხმო.

– იცით, კიდევ რა უნდა გთხოვოთ? სალხინოში მშვენიერი ბოსტანი მაქვს, შიგ იშვიათი მწვანილი მითესია: ფეშქაშად მიირთვით ჩემს სახსოვრად.

სახლთუხუცესს ქართულად უბრძანა:

– ეს ჩემი ქრთამია ჩიქოვანებისათვის, – დაუმატა დედოფალმა ღიმილით (მე ამ ქრთამით ვერ ვისარგებლე; ბოსტნისათვის აბა სად მცალოდა, როცა ხანძარი ჯერ კიდევ ჩაუქრობელი იყო).

მას აქეთ ოცდარვა წელმა განვლო. კარგა ხანია გასული და როცა მაშინ ნათამაშევ დრამის მთავარი ავტორთაგანი თითო-ოროლადა არიან დარჩენილნი ცოცხლებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1857 წლის ოქტომბრის 25 სამეგრელოსათვის მეტად დიდი მნიშვნელობისა და ბედნიერ დღედ ჩაითვლება. დედოფლის წასვლა უკანასკნელი რგოლი იყო ამ ქვეყანაში მომხდარ გარდატეხისა; ფეოდალიზმის დაცვა არამც თუ არ შეიძლებოდა, არამედ დიდი დანაშაულ;ი იქნებოდა; ერთი მუჭა ხალხი, რომელსაც თავში ედგა დედოფალი, გაჯიქდა და არაფრის გულისათვის არ უნდოდა დაეთმო თავისი პრივილეგიური მდგომარეობა, ხოლო ეკატერინეს არ უნდოდა ხელი აეღო დედოფლის ფიქტიურ წოდებაზე, და ერთმა, ღმერთმა უწყის, ყოველივე ეს რით შეიძლებოდა გათავებულიყო, რომ ხელმწიფე არ ჩარეულიყო და კეთილსაჩინო საბაბით პეტერბურგში არ გაეწვიათ ეკატერინე. ხელმწიფის გულმხურვალე თანაგრძნობამ და წყალობამ ეკატერინეს დაავიწყა გრძელი ზოლი განვლილ უსამოვნებისა და შფოთისა; მისი ქონებრივი საქმეები მოწყობილი იყო და მას შემდეგ 25 წელიწადი მშვიდობიანად და ბედნიერად გაატარა. ამ ხანგრძლივ პერიოდის განმავლობაში მთელი წლები გაატარა პეტერბურგსა თუ საზღვარგარეთ, ბოლოს დაბრუნდა სამეგრელოში და უკანასკნელ ხანს, როგორც უბრალო მემამულე, ცხოვრობდა ზუგდიდში, სადაც გაიშენა ახალი, ლამაზი არქიტექტურის სასახლე, გრიგოლს სულ შეურიგდა, სულმუდამ ჰპატიჟობდა თავისთან და უიმისოდ მოეწყინებოდა ხოლმე. ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ და უმეტესად წარსულის მოგონებაში ატარებდნენ დროს; გულიანად ეცინებოდათ, რომ მოაგონდებოდათ თავიანთი წარსული ერთმანეთთან შეტაკებანი, რასაც თვით გრიგოლის გადასახლება მოჰყვა კიდეც. ყოველივე ეს დიდი ხნის ამბავი იყო, და როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, სამწუხარო ამბავი სამხიარულოდ იყო გადაქცეული.

1882 წელს ეკატერინე გარდაიცვალა, 66 წლისა, გულის ავადმყოფობისაგან, შვილებითა და შვილისშვილებით გარშემოხვეული. დასაფლავებულია მარტვილის მონასტერში, თავის ქმრის გვერდით.

მაგრამ ჩვენ მეტად წინ გავუსწარით და მოდით, ისევ დავუბრუნდეთ იმ ეპოქას, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს მოგონებას, და ამ თავის დასასრულს ვსთქვათ, რომ ეკატერინეს მაშინდელი წასვლა სამეგრელოდან შეიქმნა დასაწყისად აქ ქვეყნის უფლებრივ და დაწესებულებრივ შედუღებისა ძირითად იმპერიასთან.

და რათგან ეკატერინეს წასვლასთან ერთად მოხდა ქუთაისის კატასტროფა, რომელსაც მეტად მძიმე შედეგი მოჰყვა მეზობელ სვანეთის სამთავროსათვის, და რათგან თუ ეს (ე.ი. გაგარინის მოკვლა) არ მოვიხსენიეთ, ჩვენი მოგონება სრული არ იქნება, შემდეგს თავს იმის აღწერას მივუძღვნით.

სვანეთის სამთავროს გაუქმება

რომ ავუხსნათ იმ მკითხველებს, ვინც კავკასიას არ იცნობენ, შინაარსი იმ სავალალო დრამისა, რომელიც მოხდა 1857 წლის ოქტომბრის 22 ქალაქ ქუთაისში გენერალ-გუბერნატორს თავად გაგარინსა და სვანეთის მთავარს კონსტანტინე დადეშქელიანს შორის, საჭიროდა ვთვლით მოკლეთ გაგაცნოთ თვით სვანეთი, სადაც იმყოფებოდა ამ დრამის კვანძი.

ქართული სახელი სვანეთი, ანუ სავანე, რაიც ნიშნავს თავშესაფარს, ამ მიუვალ მთის მხარეს, რომელიც ზედ ეკვრის იალბუზის სამხრეთ კალთას, ალბათ იმიტომ დაერქვა, რომ ძველად, კავკასიის გაუწყნარებელის შიშიანობის დროს, აქეთ მორბოდნენ და თავს იფარავდნენ ყველანი შეუბრალებელ და ძლიერ მტრის შემოსევისა და დევნისაგან, ხოლო, ხალხის გადმოცემას თუ დავუჯერებთ, თამარ მეფე აქ ჰმალავდა თავისს განძსაო.

შიგნითა სვანეთი სამ ნაწილადაა დაყოფილი თავისუფალი, სადადეშქელიანო და სადადიანოდ; მას თავიდან ბოლომდე გაუვლის ორი დიდი მდინარე – ინგური და ცხენისწყალი, რომელთაც სათავე ფაზის მთაში აქვსთ. ორისავ მდინარის სათავე თავისუფალ სვანეთშია, მერე სხვადასხვა მხარეს მიედინებიან: ინგური მიდის ჩრდილოეთ-დასავლეთით სადადეშქელიანო სვანეთზე, ხოლო ცხენისწყალი სამხრეთ-დასავლეთით მიდის სადადიანოს სვანეთზე; გზაზე უკეთდებათ ღრმა და ფართე ხევები და გამოდიან სამეგრელოს ვაკეებზე, – პირველი – სოფელ ჯვართან, ხოლო მეორე – ციხე მურთან.

სვანეთს თითქოს დაცინვით დარქმევია **თავისუფალი.** აქ ჰავა მეტად სუსხიანია, მიწის მოსავალი თითქმის არაფერი მოდის და კაცი მიუდგება წელიწადში მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, როცა მისი გასასვლელები თოვლით არ არის დაფარული. ამიტომ, უფრო სწორი იქნებოდა, **დამონებული** რქმეოდა. და მართლაც, სავსებით დამოკიდებულია თავის მეზობლებზე, რომლებიც, თუ უნდათ, შიგ ჩაჰკეტავენ და არსად გამოუშვებენ აქაურ მცხოვრებთ, რომლებიც შესდგებიან თორმეტ ცალცალკე საზოგადოებისაგან და გაფანტული არიან ღრმა მთის ხევებში. ამბობენ, რომ ერთს ამ საზოგადოებათთაგანს ამ ქვეყნის სხვა ნაწილებთან მისვლა-მოსვლა შეეძლო მხოლოდ თოკებითაო, თოკს წვერზე კალათა მოაბამდნენ, შიგ კაცი ჩაჯდებოდა და ჭოჭონაქით ძირს ჩაუშვებდნენ თურმე. თავისუფალ სვანეთიდან გამოსავალი გზა სულ სამია: ერთი სადადეშქელიანოდან, მეორე – სადადიანოდან და მესამე მთავარ უღელტეხილზე – ყარაჩაში მიმავალი.

სადადეშქელიანო სვანეთი თავისუფალ სვანეთს ქვემოთაა და იქყება მთების საძოვრებით, დაეშვება ხეობებით და მიაღწევს იმ ზოლამდე, სადაც სიმინდი მოჰყავთ. ასეთსავე ფიზიკურს მდგომარეობაში იმყოფება სადადიანო სვანეთიც, რომელსაც სხვა გასავალი არა აქვს, თუ არა სამეგრელოში, რის გამოც სრულს დადიანების დამოკიდებულებაში უნდა მოქცეულიყო. სადადეშქელიანო სვანეთი ასეთს დამოუკიდებლობას მხოლოთ იმით გადაურჩა, რომ ბუნებამ გზა გაუხსნა, ინგურის ხეობის გარდა, დალისა და წებელდის ხეობით აფხაზეთში. დადეშქელიანები, რომელნიც შამხალ ტარკოვსკისაგან მომდინარეობენ, აქ დამოუკიდებელ მთავრებად გამხდარიყვნენ. ხალხის გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ადგილებზე, საცა ახლა თავისუფალი სვანეთის თორმეტი საზოგადოება ცხოვრობს, წინად თავად დადეშქელიანის ვასალები ცხოვრობდნენო; მაგრამ ერთხელ აჯანყებულან და თავიანთი მთავარი მოუკლავთ, რის გულისთვის მოკლულის შვილებს სულ ერთიანად ამოუჟლეტიათ. რაკი ხალხისგან დაუცარიელებიათ, დადეშქელიანებს ამ ადგილისათვის თავისუფალი უწოდებიათ იმ აზრით, რომ ზედ მცხოვრები ერთიც არ მოეპოვებოდა და არც უნდოდათ ვინმე ხელახლა დასახლებულიყო. მაგრამ დრო-ჟამი რომ გასულა, ამ მივარდნილ მთის ღადა-ღუდეში ისევ გაჩენილან ახალმოსულები – კავკასიის ყველა ადგილებიდან გამოქცეული და თავზე ხელაღებული ხალხი, დასახლებულან თავმინებებულ და ბუდეების მსგავს კოშკებში, და შეუდგენიათ სწორეთ ის თორმეტი საზოგადოება თავისუფალ სვანეთისა.

როცა კაცი ახლო გაეცნობა ამ კუთხის ველურების ყოფაცხოვრებას, ამ გადმოცემაში, ცოტა არ იყოს, სიმართლის ნიშან-წყალს დაინახავს. ყოველ კოშკის პატრონი თავის თავს მთელს ქვეყანაზე ყველაზე მეტადა სთვლის და არავის ემორჩილება და თუ ვისთანმე შეტაკება მოუვიდა, იარაღს გადააწყვეტინებს საქმეს. ამიტომ ყოველი მათგანი სისხლის აღებასა სცდილობს. ამ კოშკების პატრონები თავს ერთად მაშინ-და მოიყრიან, როცა ერთობრივის ძალით ვინმე უნდა გაძარცვონ. რო გაძარცვავენ, ნადავლს გაიყოფენ და ყველანი თავთავიანთვის წავლენ-წამოვლენ. ერთის სიტყვით, პირველყოფილი ავაზაკების ორგანიზაციაა.

ქაჯეთი

ამის ასეთი ზარია!

წარმოუდგენლად მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების არსებობა ქართველი ხალხისთვის უკვე ნამდვილ ეროვნულ უბედურებად იქცა. აღმოჩნდა, რომ ძველისძველი ფეოდალური პარტიკულარიზმი კვლავ მთელი ძალით ბობოქრობს იბერიაში. ჩვენს თვალწინ მკაფიოდ გამოიკვეთა ძალაუფლებისა და სიხარბის წყურვილით შეპყრობილ ადამიანთა ერთსახოვანი ფენა, ახალი ყაიდის ფეოდალური საზოგადოება, რომელსაც ერთიანობისა და მყარი ეროვნული ცნობიერების სრული განადგურებისკენ მიჰყავს ქვეყანა. პარტია ნაწილს ნიშნავს, რაც ამ ნაწილის განცალკევებას ანუ პარტიკულარიზმის აღმოცენებას უწყობს ხელს. მოკლედ, პარტიომანია ჩვენში გავრცელებული ის უაღრესად სახიფათო ეპიდემიაა, რომელიც, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს ჩვენი ისედაც მძიმედ დავრდომილი ეროვნული ორგანიზმისთვის.

დღეისათვის იბერიაში ორასამდე პარტია და ორი ათასზე მეტი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს. ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ეს მართლაც კატასტროფული ციფრია! როგორც ჩანს, იბერთა უმეტესობამ საერთოდ დაკარგა სოციალური ფუნქცია და ნებაყოფლობით დაიხშო ინტელექტუალური ზრდა-განვითარების უნარი. სამაგიეროდ, ბევრი მათგანი საკმაოდ დახელოვნებულ ავანტურისტად ჩამოყალიბდა და, რაკი პოლიტიკური საქმიანობა ადვილად ასათვისებელ „თამაშად“ წარმოიდგინა, მთელი აზარტით გადაეშვა ამ უსაზღვროდ ამღვრეულ მორევში. ალბათ, სწორედ ასეთ ადამიანებზე წერდა თავის დროზე მრავლის მომსწრე და მხილველი **ვიქტორ ჰიუგო:**

„როგორც კი ზღვა ნაპირზე გარიყავს რევოლუციას, მას მაშინვე მიესევიან მოხერხებული მოღვაწენი, რათა ნადავლი დროულად გაინაწილონ. ჩვენს დროში ამ მოხერხებულებმა სახელმწიფო მოღვაწის სახელი დაირქვეს. ფესვი გაიდგა ამ სახელმა და დღეს ხალხში „სახელმწიფო მოღვაწე“ მოხერხებულ ადამიანს ნიშნავს. მართლაც ნუ დავივიწყებთ, რომ საცა მოხერხების მეტი არა არის რა, იქ უთუოდ დაკნინებაც არის. რომ იტყვიან – მოხერხებული კაცი არისო,– ამით ამბობენ, საშუალო კაცი არისო. სწორედ ისევე, როგორც სიტყვა – „სახელმწიფო მოღვაწე“ – ხშირად უდრის სიტყვას – „ქვეყნის მოღალატე“... ძალიან კარგად იციან ამ პოლიტიკოსებმა თავიანთი ჯიბის სარგებლობისთვის სახელმწიფო საჭიროების ნიღბის მორგება“.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ჯერჯერობით დროს არავითარი კორექტივი არ შეუტანია და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ხშირად ვახსენოთ ხოლმე ფრანგული რევოლუციების სწორუპოვარი მემატიანე, თუმცა არც ჩვენი აკაკის დავიწყება მოგვიტანს სიკეთეს. **„ოცი წელიწადია, რაც ჩვენში პარტიობა გაჩნდაო. –** შენიშნავდა აკაკი და ჩვეული ირონიით დასძენდა, – **შეუძლებელია, რომ ყოველს საქმეში ორად არ გაიყვნენ ხოლმე და ბრძოლა არ ასტეხონ. ამ ბრძოლაში ბევრნი ძალიან დახელოვნდნენ... ერთი პარტია მაინც იმისთანა ენერგიულია, რომ არავითარ საშუალებას არ დაზოგავს, ოღონდ კი საქმე მოიგოს“...**

დღეს პარტიები ურთიერთშორის კიდევ უფრო მეტად **„დახელოვნებულ“** და **„ენერგიულ“** ბრძოლებს მართავენ. ისინი მართლაც **„არავითარ საშუალებას არ ზოგავენ“**, რათა ბოლომდე გაანადგურონ მოწინააღმდეგე და რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ **„სახელმწიფო საჭიროების ნიღაბი“.**

მაგრამ ზოგჯერ დაუჯერებელი ამბებიც ხდება და ეს მოთამაშე პოლიტიკოსები საკუთარი ხელით იხსნიან ხოლმე ნიღბებს. სწორედ ასე დაემართა ქართული რევოლუციის მამას – მიხეილ სააკაშვილს, რომელიც რატომღაც ხშირად არჩევს თავისი **„ნატურალური“** სახით ეჩვენოს საზოგადოებას. **„მეგობარმა შემომჩივლა, ოპოზიცია ჩემზე ტყუილებს ლაპარაკობსო. მე იგი დავამშვიდე: ჩვენ მაშინ უნდა შეგვეშინდეს, როცა ჩვენზე სიმართლეს იტყვიან-მეთქი“.**

ამ სიტყვებით მან დაუფიქრებლად გასცა თავისი თავი და თქვა ის, რასაც გონიერი მმართველი არასდიდებით არ იტყოდა!

საერთოდ, ცნობილია, რომ ჩვენებურ პოლიტიკოსებს ყველაზე მეტად სწორედ **„გონიერის“, „ინტელექტუალის“** და **„ბრძენის“** ნიღბის ტარება ეძნელებათ. ძალიან უჭირთ ასეთი როლების თამაში და იმიტომ! სხვა შემთხვევაში კი, კვლავ მ. სააკაშვილის სიტყვების ზუსტ ციტირებას თუ მოვახდენთ, მათ **„შიშებიც“** უქრებათ და **„ცუდი მოლოდინებიც“**.

სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ **„ტყუილების ლაპარაკი“**, ყველაზე მეტად, თურმე, ქ-ნ ბურჯანაძისთვის ყოფილა მიუღებელი. აი, რას წერს ერთგან ეს ყოვლად წრფელი და ალალმართალი მანდილოსანი: **„მსოფლიოს მთელი პოლიტიკური სპექტრი მიცნობს და პოლიტიკაში დამკვიდრება გამიჭირდება? ეს მაშინაც კი არ დამჭირდება, არაფერი რომ არ ვაკეთო და მემუარების წერით ან ჩემი ძაღლების მოვლით გავირთო თავი“...** ამ შესაშური თავმდაბლობისა და **„გახსნილობის“** შემდეგ ხსენებული ქალბატონი თავის ყველაზე იდუმალი ფიქრების ლაბირინთებშიც კი გვეპატიჟება და, როგორც იტყვიან, შიგ **„სულში იძვრენს“** ჩვენს თავხედ ცნობისმოყვარეობას. **„ხალხი არასოდეს მომიტყუებია. ამის კონკრეტულ, არსებულ მაგალითს ვერავინ მოიყვანს. მაგალითისთვის წყნეთის ცნობილი საკითხიც კმარა – შემეძლო ყველაფერი ტყუილში ლამაზად შემეფუთა, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე, რადგან საზოგადოებას აქვს უფლება, სიმართლე იცოდეს“.** ქალბატონი ბურჯანაძე აქ ნამდვილად გულახდილია. ის პირდაპირ ამბობს – შემეძლო სხვაგვარად, უფრო ზნეობრივად მოვქცეულიყავი და ლტოლვილებით სავსე გაღატაკებულ საქართველოში ასეთ გაუმართლებელ ფუფუნებას არ გამოვდევნებოდი, მაგრამ რაკი მე, ნინო ბურჯანაძე, ხარბი და გაუმაძღარი ბუნების ადამიანი ვარ, ჩემგან ასეთი ნაბიჯის გადადგმა **„ლამაზად შეფუთული ტყუილი“** იქნებოდა და მე ასეთი რამ ამიტომ არ გავაკეთეო. ეს თვითგამანადგურებელი აღიარება კი **„სიმართლის“** წინაშე ისეთი მოწიწებული ერთგულებით არის გამაგრებული, რომ ქალბატონ ბურჯანაძეს ამიერიდან თავისუფლად შეუძლია ატაროს არა მარტო იბერიის, არამედ მთელი დედამიწის ყველაზე ცინიკური პოლიტიკოსის სახელი! და თუ ყოველივე ამას საბრალო ლტოლვილების სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადებასაც დავუმატებთ, მაშინ ეს ქალბატონი უკვე სამუდამოდ უნდა ამოვშალოთ ადამიანთა სიიდან და მხოლოდ პოლიტიკოსად, თანაც ყველაზე მართალ პოლიტიკოსად ვადიაროთ. შთამომავლობას კი ჩვენი თაობის სირცხვილად უნდა დავუტოვოთ ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ დროს ამ პოლიტიკოსს იბერია თავის პრეზიდენტად აღიარებდა და მას საკუთარი სახელობის პარტიაც კი ჰყავდა გამოქანდაკებული – **„ბურჯანაძე – დემოკრატები“** თუ რაღაც ამგვარი...

შთამომავლობას, ალბათ, შორეული წარსულიდან უთუოდ მისწვდება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის ვაუკაცური ამოძახილიც: – **„ქაჯები“...**

საერთოდ, ქაჯებისა და პოლიტიკოსების იდენტიფიკაცია იბერიაში (მგონი საფრანგეთშიც და, ალბათ, მთელ ევროპაშიც), პირველად სწორედ ქალბატონმა სალომემ განახორციელა. ქაჯთა შესახებ უფრო ადრეული ცნობები კი ყველა იბერის სანუკვარი ქმნილების პერსონაჟმა (ასევე ქალმა) ფატმანმა შემოგვინახა. მისი ნაამბობიდან კარგად ჩანს, რომ პოლიტიკური საქმიანობა არც ქაჯებისთვის ყოფილა უცხო ხილი. მათ საკუთარი სამეფოც აქვთ და ჯარისკაცთა კარგად გაწვრთნილი არმიაც ემსახურებათ. საგულისხმოა, რომ ქაჯების ცხოვრების წესი და სტრუქტურა ზედმიწევნით შეესაბამება პარტიული ცხოვრების მოდელს და უნარ-ჩვევებს. ასე მაგალითად, ცალკე აღებული ყოველი პოლიტიკური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავის წევრთა ერთობასა და შინაგან მონოლითურობას. ისინი ხშირად იყენებენ მაგიურ პიარკამპანიებს, რითაც იოლად ატყუებენ ამომრჩევლებს და ხშირად დიდ ვნებასაც აყენებენ მთელ მოსახლეობას. ამ გზით პარტიები გვარიან თანხებსაც იხვეჭენ და საკუთარი კეთილდღეობისათვის აუცილებელ გარანტიებსაც მოიპოვებენ ხოლმე. ქაჯების შესახებ კი ფატმანი მოგვითხრობს:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედა დახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ვნებულნი,
მათი შემბნელნი წამოვლენ დამბმალნი, დამბილებულნი“.

ვკითხულობთ ამ უკვდავ სტრიქონებს და უმალ თვალწინ ჩვენებური პოლიტიკური პარტიების ყოფა-ცხოვრება წარმოგვიდგება. ოღონდ ისაა, რომ ქაჯთა პოლიტიკური პროგრამების თაობაზე ფატმანი რატომღაც მრავალმნიშვნელოვან დუმილს ამჯობინებს. აი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი კი, ქაჯებისაგან განსხვავებით, თავისი პარტიის (**„საქართველოს გზა“**) პლატფორმას მთელ იბერიაში ავრცელებს.

ქალბატონ სალომეს უღრმეს პატივს ვცემ, მაგრამ ქ-ნ ბურჯანაძის მსგავსად „ტყუილების ლაპარაკი“ არც მე მიყვარს და ამიტომ პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს პლატფორმა-პროგრამა რატომღაც პლაგიატი მგონია. სავარაუდოდ, ქ-ნ სალომეს იგი ქაჯეთის რომელიმე პარტიის (ალბათ, „ქაჯეთის გზის“) საპროგრამო დოკუმენტებიდან უნდა ჰქონდეს გადმოწერილი. ჩემი ვარაუდის მართებულობაში დასარწმუნებლად მკითხველს აქვე ვთავაზობ მცირე ამონარიდს, ოღონდ წინასწარ გთხოვთ, რომ იბერიის ნაცვლად ტექსტში სხვა ქვეყანა – კერძოდ კი – ქაჯეთი წარმოიდგინოთ. „დიალოგი და ტოლერანტობა ჩვენი მისიაა: იბერიას თუ ჰქონდა ოდესმე მისია და არსებითი როლი, ეს იყო რელიგიების, ცივილიზაციების და იმპერიების შერწყმის ან შეჯახების ადგილი. იმ მსოფლიოში, სადაც ყოველ დღე უფრო საშიში ხდება დასავლეთისა და მუსულმანური სამყაროს დაპირისპირება, იბერიას აქვს პოტენციალი, თუკი თვითონ იქნება დემოკრატიული, ტოლერანტული და ღია ქვეყანა, რომ გამოიყენოს თავისი ისტორიული გამოცდილება, რათა გადაიქცეს ცივილიზაციათა დიალოგის სამაგალითო კუთხედ“ (სალომე ზურაბიშვილი, „საქართველოს გზა“, გვ. 16).

როგორც ვხედავთ, ტექსტს აშკარად ეტყობა, რომ იგი რომელიმე უცხოური დოკუმენტიდან (ჩემი დაუინებული ვარაუდით – ქაჯურიდან) უნდა იყოს გადმოთარგმნილი. თანაც ასეთი მდარე და უწიგნური ქართულით ჩვენი პოლიტიკური სპექტრიდან მხოლოდ რამდენიმე ლიდერი მეტყველებს, მათ შორის ყველაზე თვალშისაცემი ფიგურა კი მიხეილ სააკაშვილია. გამორიცხული არ არის, რომ ქ-ნ სალომეს სწორედ ეს პოლიგლოტი დახმარებოდა და ამ გზით **„საქართველოს გზასთან“** პოლიტიკური ალიანსის დამყარება ეცადა. მათ ხომ, ერთობლივად, იბერია მართლაც ქაჯებით დასახლებულ **„კუთხედ“** ჰყავთ მიჩნეული?!

ახლა ჩვენც გავარკვიოთ, პატივცემულო მკითხველო, როგორ დავიცვათ თავი ასეთი აბეზარი ადამიანებისგან? როგორ გავუმკლავდეთ პარტიებად დარაზმულ მსგავს მოძალადეებს? ისინი ხომ ქაჯებივით მრავალრიცხოვანნი არიან და ერთმანეთთან **„კოორდინირებული“** მოქმედებით ცდილობენ ჩვეულებრივი (არაქაჯი) ადამიანების დამარცხებას...

გულუბრყვილო არაქაჯები ხშირად კითხულობენ, თუ რატომ არ ერთიანდებიან ეს პარტიები, რატომ ყველანი ერთად არ დადგებიანო...

ღმერთმა დაგვიფაროს!

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ რომელიმე პარტიას ჩვენს საზოგადოებაში სერიოზული დასაყრდენი გააჩნდეს... მაშინ ფეოდალური შინაომები, ალბათ, ნემსის ჩხვლეტად მოგვეჩვენებოდა!

ბრძნული აზრი მათგან ჯერ არავის მოუსმენია, მათი მგზნებარე მამულიშვილობაც უფრო ქვიშაზე პატრიოტიზმით შეფერადებული მელნით დაწერილ არაკს ჰგავს და იბერიაში ამდენი სიცრუე და სიბრიყვე, რაც ამ ადამიანებმა აქამდე თქვეს და მოიმოქმედეს, ჯერ არავის უთქვამს და ჩაუდენია.

ამდენი მოლაყბეც საქართველოს არასოდეს ჰყოლია.

ამიტომ ახალ-ახალი პარტიების დაფუძნება კი არა, ქართული საზოგადოების გამთლიანება და რეალური ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევა უნდა იქცეს ჩვენს უპირველეს ამოცანად. მუდამ უნდა გვახსოვდეს ილიას ნათქვამი მწარე სიმართლე:

„ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გნებავთ, იბერიაში ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას და ნუთუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისათვის საბუთია? ათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა?“

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ათას ცრუ ხმაში როგორ გამოვარჩიოთ ერთი ჭეშმარიტი ხმა გალილეისა.

მაშ, ამ იმედით კვლავ გავაგრძელოთ ჩვენი დაკვირვება, მომავალში კი მთლიანად დავასრულოთ ქაჯებზე საუბარი, რაც, ალბათ, თქვენთვის ნამდვილად არ არის სასიამოვნოდ მოსასმენი, პატივცემულო მკითხველო.

გარწმუნებთ, ჩემთვისაც ასეა!

თემურ ქორიძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲡᲐᲙᲘ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ — ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲘᲡᲐᲙᲘ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲨᲘ — ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ)
ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲛ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲘᲓ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲮᲓᲘᲗ ᲛᲐᲡ.

გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონების ვახტანგ გვარამიას და გიორგი ციციშვილის წიგნიდან **“მეგრული საკითხი”**

ისაკი ჟვანია მისი საქმიანობის ამსახველ პუბლიკაციებში შეფასებულია როგორც ოდიოზური პიროვნება, სამეგრელოს ავტონომიური მოწყობისათვის მებრძოლი, **“ჭკუანაღრძობი”** და ა.შ. ეს არის მისი მოღვაწეობის გაუკუღმართებულად წარმომჩენთა ნააზრევის მექანიკური გარემოებისა და მის შესახებ სინამდვილის შეუცნობლობის, ან მისი მიზნობრივად გაბიაბრუების მისწრაფების ანარეკლი. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ ისაკი ჟვანია იყო კომუნისტი, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის დამცველი, მაგრამ საკუთარი შეხედულებითა და წარმოშობით პროლეტარი, მეგრელი ღარიბი გლეხობის წარმომადგენელი და გლეხების ინტერესების დამცველი, პატრიოტიზმის კუთხის მშრომელთა ინტერესებიდან გამგები. იგი არ იყო ანტისაბჭოთა ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენელი, მისთვის დოგმა არ იყო საერთოეროვნული ინტერესები. აზრი ისაკი ჟვანიას, როგორც პიროვნებისა და მოღვაწის შესახებ, ემყარება, ერთის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა შესახებ გამოქვეყნებული სტატიების კრებულისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ძუნწ ცნობებს, მეორე მხრივ კი თვით ისაკი ჟვანიას პუბლიკაციებს. განსაკუთრებით დიდი სამსახური გაგვიწია ისაკი ჟვანიას პარტიულ-ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულმა საარქივო მასალებმა, რომელთა ერთი ნაწილი, პირადად მის მიერ არის დაწერილი და შექმნილი.

ჩვენ ისაკი ჟვანიას ვაფასებთ მისი დადებითი საქმიანობისა და ღვაწლის შედეგების მიხედვით. ამასთანავე, ვისარგებლეთ ისაკი ჟვანიას შესახებ მოწოდებული კერძო ინფორმაციებით. **“მეგრულ საკითხთან”** დაკავშირებით მისი პოზიცია, რომელიც აგრეთვე ზუგდიდის ინტელიგენციის რაციონალურად მოაზროვნეთა ინტერესებსაც გამოხატავდა, რეალურ ვითარებაში პრაქტიკულად ყველაზე ახლოს იყო ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე, მხოლოდ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე და მოაზროვნე უღარიბესი გლეხური მასის ინტერესებთან. ამასთანავე ისაკი ჟვანიას მეგრულ-გლეხური ინტერესებით ნასაზრდოები პოზიცია გულისხმობდა აზროვნებას და მოქმედებას საერთო კომუნისტური აღმშენებლობის ამოცანებიდან გამომდინარე. როგორც ჩანს, იგი პროლეტარულ-კომუნისტურ ინტერესებს ზოგადადამიანურ და ზოგადქართულ ინტერესებთან მისეული გაგებით აკავშირებდა. მაშასადამე არა ჩანს, რომ ისაკი ჟვანია იყო ანტისაბჭოთა ეროვნული მოღვაწე, მაგრამ არც ის ჩანს, რომ იყო ავტონომიის მომხრე, მითუმეტეს ანტიქართული, ე.წ. **“მეგრული სეპარატიზმის”** წარმომადგენელი და დამცველი.

ისაკი ექვთიმეს ძე ჟვანია დაიბადა 1891 წელს, ზუგდიდის მაზრის იმ დროისათვის მიყრუებულ სოფელ ლეჯიქეში. იგი რუსეთის კომპარტიის წევრია 1913 წლიდან. 1916-1917 წლებში სამხედრო ბეგარას იხდიდა შავი ზღვისპირა რკინიგზის ბატალიონში. ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობაში მონაწილეობდა ჭაბუკობის დროიდან. აქტიურ პარტიულ მუშაობას გაანაგრძობდა ზუგდიდის მაზრისა და სოხუმის ოლქის ორგანიზაციებში. იყო პარტიის არალეგალური ქუთაისის კონფერენციის დელეგატი. თანამშრომლობდა გაზეთებში **“ბრძოლა”** და **“ჩვენი ბრძოლა”**, რომლებშიც ქვეყნდებოდა მისი წერილები. 1918 წლის აპრილიდან მაისამდე იყო სოხუმის რევკომის წევრი. მენშევიკური ხელისუფლების დროს აქტიურად მონაწილეობდა წითელ პარტიზანთა საბრძოლო საქმიანობაში. ამ დროს რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1921 წელს ისაკი ჟვანია იყო სოხუმის რევკომის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ. 1925 წლის ზაფხულიდან იყო პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი. 30-იანი წლების ბოლოს მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად, შემდეგ კი აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1937 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობის ყალბი მოტივით. გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, მაგრამ გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც 1946 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა. პარტიულ-ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის დროს მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატად, საქართველოს კომპარტიის ცეკას შემადგენლობაში. 1924 წელს მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების მიზეზების გამოკვლევაში. იყო საკოლმეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელი ზუგდიდის მაზრაში. თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ პარტიული ცენტრის დავალებით და მისი აქტიური მონაწილეობით მოგვარდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მიერ მეგრული **“ყაზაყიში გაზეთის”**, მეგრული ფურცლების და ბროშურების გამოცემა. ხელმძღვანელობდა ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციული ოლქის შექმნის სამთავრობო დირექტივების დამუშავებას, დაწყებითი სწავლების პირველ კლასში მეგრულ ენაზე ექსპერიმენტული სწავლების ორგანიზებას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის სამთავრობო ღონისძიების განხორციელებას.

იგი იყო პრინციპული, შეუპოვარი მუშაკი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რესპუბლიკის უმაღლესი დონის ხელმძღვანელ და მაზრის მუშაკთა შორის. მაგრამ თავისი შეუპოვრი ხასიათისა და მინდობილი საქმისადმი არასტანდარტული დამოკიდებულების გამო, მის ერთ ნაწილში იწვევდა მუდმივ უკმაყოფილებას, იწოდებოდა **“მეგრული ნაციონალიზმის”** წარმომადგენლად. მიუხედავად ამისა, მან გაუძლო 20-30-იანი წლების უაღრესად რთულ, შინაპარტიული დაპირისპირებისა და საკადრო ოთურმას. მუდამ გამოდიოდა სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგ, ებრძოდა ე.წ. მეგრული სეპარატიზმის იდეას. ისაკი ჟვანიას ნაწერებში ვერც წინამორბედმა პუბლიცისტებმა და ვერც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას. უფრო მეტი, ზუგდიდელი **“ავტონომისტები”** ხშირ შემთხვევაში ცდილობდნენ ერის სტალინისეულ განმარტებაში მოცემული ოთხი ნიშანი და, მაშასადამე, ავტონომიის ისტორიული **“უფლება”** სამეგრელოს ისტორიის სიღრმეში ეხრიკათ. ისაკი ჟვანიას მიერ მეგრული ენის გამოყენებისა და ადმინისტრაციული ოლქის შემოღების მიზანშეწონილობის დამასაბუთებელ წერილებში მსგავსი მეცადინეობა არ ჩანს. იგი ყოველთვის ემყარებოდა არსებულ მდგომარეობას. მხარს უჭერდა უკიდურესი დუხჭირი ცხოვრებიდან თავის დაღწევის მიზნით საციალისტური აღმშენებლობის პროცესში მეგრელი გლეხების ჩაბმა-გააქტიურებას მათთვის გასაგები მეგრული ენით. მისი გაგებით, მეგრული ენა **“საშუალებაა და არა მიზანი”**. მისი ეს მარქსიდან ნასესხები ფორმულირება საქართველოში მეგრული ენის გამოყენების მაგალითზე, ჩვენი აზრით, სიმართლეს ასახავდა. ჟვანიას კმაყოფილებას იწვევდა არა მარტო მეგრული ენით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პროცესი, არამედ მისი წარმატება. ჟვანია ქართულის არმცოდნე მეგრელი გლეხებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისათვის იბრძოდა, მაგრამ ამას საერთო ქართულთან დაახლოების გარდამავალი პერიოდის საშუალებად მიიჩნევდა.

ისაკი ჟვანიას სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა ავანტიურად მიაჩნდა. ეროვნული პატრიოტიზმის წარმომადგენლებს არათანმიმდევარი ობიექტურობის შემთხვევაში, იმდროინდელი პარტიული ლექსიკონით, კონტრრევოლუციონერებად მოიხსენიებდა. მაგრამ დიდი ქართველების — შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის მიმართ არ ერიდებოდა სიმპატიების გამომჟღავნებას. პროფესორმა გრიგოლ ჟვანიამ გვიამბო: 30-იან წლებში ზუგდიდის ტექნიკუმში ქართული ლიტერატურისა და მწერლების შესახებ მოწყობილ დისპუტს ისაკი ჟვანიაც დაესწრო. ჩვენს კითხვაზე, ვინ უფრო დიდი იყო კლასიკოსებიდან — ილია თუ ეგნატე?! ისაკიმ ახალგაზრდებს უთხრა, **“ილია ჭავჭავაძე უფრო დიდია, მაგრამ ჩვენ უფრო ეგნატე ნინოშვილი გვჭირდებაო”**. ამ დროს მისგან თუნდაც ასეთი აზრის მოსმენა, მისი დადებითი ღირსების მაჩვენებელი გვგონია. ჩვენ მოვიპოვეთ დამატებითი საარქივო ცნობები, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელად გადმოყვანამდე, ისაკი ჟვანია, როგორც საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოვალეობის შემსრულებელი, (1925 წლის დასაწყისში) მხარში ამოუდგა დავით გარეჯის ისტორიული კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიების საქართველოს სსრ შემადგენლობაში მოქცევისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტებს. მაგრამ ამასთანავე იგი თავისი სიმართლის დამტკიცების დროს არავის ზოგავდა, პირიქით, შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ მოწინააღმდეგეების მიმართ შურისძიების ღვარძლი გადმოენთხია.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ისაკი ჟვანიას მსოფლმხედველობისა და პრაქტიკული საქმიანობის წარმოჩენა მხოლოდ იმდენად გვესაჭიროება, რამდენადაც იგი სამეგრელოს მშრომელი მასის ინტერესებიდან გამომდინარე რეალური მოთხოვნებისა თუ ინტერესების გაგებას და ე.წ. **“მეგრული სეპარატიზმის”** ტენდენციებისა და პროცესების არარსებობის და ხელისუფლების მიერ მისი მიზნობრივ-ჩეკისტური შეთითხვნის საიდუმლოებათა ამოცნობას ემსახურება და არა ამ კომუნისტი ჩინოვნიკის იდეალიზებას. ამ **“საიდუმლოებების”** გამოკვლევის პირველ საფეხურად წარმოვაჩინეთ მეგრელი გლეხებისა და მათი სამართლიანო მოთხოვნების დამცველის გარკვევა. შემდეგ გავარკვიეთ, რომ სამეგრელოს, ზუგდიდის მაზრის ინტერესების დამცველთა მისწრაფებას წარმოადგენდა მშრომელთა სწრაფი ეფექტური გზების გამონახვა და მათი რეალიზაცია. შემდგომი საფეხური კი რაციონალურის საწინააღმდეგო, **“ავტონომიის”** მოთხოვნის იდეურ პრაქტიკული წინამძღვრებისა და მისი სეპარატიზმამდე სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური წაბიძგების მიზეზების გამოკვლევა-გაშუქება იქნება...

...როგორც ადრე აღვნიშნეთ, **“საქმის”** საჭიროებიდან გამომდინარე, ჩეკისტებისთვის უცხო და მოულოდნელი არ იყო ფალსიფიცირების არცერთი ხერხი. ისაკი ჟვანიას 1937 წლის 28 დეკემბერს საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის დადგენილებით გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა (სუკის არქივი №12636, გვ. 249). საოცარია, რომ ისაკი ჟვანიას გარდაცვალების თარიღად დაფიქსირებულია 1946 წელი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, თბ. 1984, გვ.249). მაგრამ ბავშვობაში ი. ჟვანიას მეურვეობით აღზრდილ პროფესორ ჯამილა მესხიას ზეპირი გადმოცემით, ი. ჟვანია 1946 წლამდე შუა აზიაში, მის გერმანელ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა და მართლაც ამ წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ ისაკის გერმანელი მეუღლე ზუგდიდში დაბრუნდა. შემდეგ იგი აბასთუმნის საავადმყოფოს ექიმად მუშაობდა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. პროფესორმა ვახტანგ კვარაცხელიამ მოგვაწოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ცხოვრებაშვილის მონათხრობი იმის სესახებ, რომ 1952 წელს ბორჯომში დასასვენებლად ყოფნის დროს სტალინმა საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელებისაგან ისაკი ჟვანია მოიკითხა. როცა პასუხი მოისმინა, უთქვამს: **“აბა როგორ გინდათ ჯვარელ და წალენჯიხელ გლეხებს ელაპარაკოთო”**. როგორც ჩანს, სტალინს ისაკი ჟვანია მეგრული სეპარატიზმით გაუზვიადეს. მან კი არ დაიჯერა და მეგრულის გამოყენება ნორმალურ მდგომარეობად მიიჩნია...

...დავით გარეჯთან დაკავშირებით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სარგებლობის მოწესრიგების მიზნით 1921 წლის 5 ივლისს შეიკრიბა შერეული კომისია, რომლებმაც... აწარმოეს საგამოკვლევო მუშაობა.... კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვას მკაცრი დავა არ გამოუწვევია, მაგრამ **“საქართველოს წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს”** ის მდგომარეობა, რომ საზღვრის გაყვანისას აზერბაიჯანს გადაეცა ტერიტორიის (საძოვრების) ნაწილი, რომელიც ინყოფებოდა საქართველოს მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში.

ისაკი ჟვანია სთავაზობს მიწის ფაქტობრივ მფლობელობის შენარჩუნების მიზნით ამ რაიონში სახელმწიფო საზღვარი შესწორდეს და დადგინდეს დავით-გარეჯის მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე, ამ წარდგინებას დართულ სქემატურ რუქაზე აღნიშნული ორი ვრცელი მონაკვეთის საქართველოსათვის შემოერთებას. ამ სამართლიანი პროექტით საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა ტერიტორია დაწყებული უდაბნოს მონასტრების კომპლექსით, წამებულითა და ნათლისმცემლით და გათავებული ბერთუბნით... ეს არის ეროვნული კულტურის და საერთოდ ეროვნული ინტერესებისათვის მიწახკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ისაკი ჟვანიას მეცადინეობის ნათელი მაგალითი. მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მას აცხადებენ ქართული კულტურის წინააღმდეგ მებრძოლად..

პ ე ლ ე

(ფეხბურთის ოსტატი და მოედნის გენიალური არტისტი)

“მსოფლიო ფეხბურთისათვის პელე იგივეა, რაც შექსპირი ინგლისური ლიტერატურისათვის”

***ჟოაო სალდანია**, ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი.*

პელე იყო და რჩება უდიდეს ოსტატად მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. უნიკალური ტალანტი მასში აღმოცენდა ბავშვობიდან, რომელიც რიო დე-ჟანეიროს დარიბულ კვარტალში იზრდებოდა. თუმცა, შემდგომში, სიმდიდრესა და წარმატებას მის პიროვნებაზე უარყოფითად არ უმოქმედია. ყოველ ჩატარებულ მატჩში იგი ისწრაფვოდა გამარჯვებისაკენ და ძალას არ ზოგავდა საკუთარი გუნდის წარმატებისათვის. მას უყვარდა კლუბის გულშემატკივრები და პატივს სცემდა მოწინააღმდეგეს. პელეს მამა დონდინიო საკმაოდ ჩამოყალიბებული და წარმატებული ფეხბურთელი იყო, რომელიც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში თამაშობდა. მაგრამ ტრავმებმა აიძულეს იგი, რომ დროზე ადრე წასულიყო დიდი ფეხბურთიდან, შემდეგ კი შვილს ავარჯიშებდა. სწორედ მამამისი გახლდათ პელეს პირველი მწვრთნელი და უპირველესი გულშემატკივარი. ბრაზილიის ფეხბურთში ვერ მოძებნით მოთამაშეს, რომელსაც მეტსახელი არ ჰქონდეს. პელემ დღესაც არ იცის, ვის პატივსაცემად უწოდეს მას ეს მეტსახელი, ახსოვს მხოლოდ ის, რომ მეტსახელი არ მოსწონდა და ამის გამო ხშირად ეჩხუბებოდა თანატოლებს. მოგვიანებით ეს სახელი ყველაზე დიდი წარმატების აღმნიშვნელად იქცა მსოფლიო ფეხბურთში.

პელემ ფეხბურთის თამაში კლუბ **“ბაურუში”** დაიწყო 15 წლის ასაკში და მალე იგი **“სანტოსში”** გადაიყვანეს. სულ ერთი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ და 16 წლის ასაკში პელემ ბრაზილიის ნაკრების მაისური მოირგო. კიდევ ერთი საფეხბურთო სეზონი და 17 წლის პელე მსოფლიო ჩემპიონი გახდა ფეხბურთში.

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე შვეიცარიაში ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვინსენტე ფეოლას პელეს მოედანზე გამოშვება არ უნდოდა, რადგან იგი ჯერ კიდევ ბავშვად მიაჩნდა, მაგრამ მთელი გუნდის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მან ითამაშა და მაშინვე იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად. იგი მსოფლიო ნაკრებში შეიყვანეს.

ბრაზილიის საფეხბურთო კლუბმა **“სანტოსმა”** მოაწყო მსოფლიო ტურნე, სადაც გუნდი კვირაში სამჯერ გამოდიოდა მოედანზე. ამ ტურნემ გუნდს ხელი შეუწყო იმაში, რომ გაძლიერებულიყო პერსექტიული ფეხბურთელებით, რამაც გაამართლა და 1962-63 წლების საფეხბურთო სეზონში **“სანტოსმა”** საკონტინტშორისო თასი მოიგო. საკმაოდ რთული გამოდგა პელესათვის 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. პირველ მატჩში მან მექსიკელებს შესანიშნავი გოლი გაუტანა, მაგრამ მალე ტრავმა მიიღო და ისე გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რომ მოედანზე აღარ გამოსულა.

ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პელე წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ მის წინააღმდეგ უხეში თამაში მსაჯებმაც კი ვერ აღკვეთეს, რამაც იგი კვლავ ჩამოაშორა მოედანს. მაგრამ, ოთხი წლის შემდეგ პელემ მაინც მოახერხა რევანშის აღება – 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სამუდამოდ შევიდა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში როგორც პელეს დიდების ეტაპი.

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პელემ გაიტანა შესანიშნავი გოლი შვედების კარში, რასაც დღესაც სახელმძღვანელოდ იყენებენ ახალგაზრდა ფეხბურთელთა მომზადებისას.

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მას ჰქონდა შანსი გამხდარიყო ორი შესანიშნავი გოლის ავტორი, მაგრამ არ გაუმართლა. ჩეხებთან მატჩში მან საკუთარი გუნდის ნახევრიდან დაარტყა ბურთი მეტოქის კარში, მაგრამ მცირეოდენ უზუსტოდ. ურუგვაისთან მატჩში კი შესანიშნავად მოატყუა მეკარე, მაგრამ დარტყმა აქაც მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა.

პელე გახლდათ ფეხბურთის ნამდვილი გენიოსი. შემდეგ სპორტული კარიერა მან ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელა, სადაც თამაშობდა კლუბ **“კოსმოსის”** შემადგენლობაში. მისი დიდი წვლილი დევს იმ საქმეში, რომ 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა.

ბიოგრაფია

ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, იგივე პელე დაიბადა ტრეს კორასოესში 1940 წლის 21 ოქტომბერს.

1950 წელს თამაში დაიწყო კლუბ **“ბაუერში”**, სადაც მამამისი მწვრთნელად მუშაობდა. 1956 წელს 15 წლის ასაკში გადავიდა ბრაზილიის **“სანტოსში”.**

1957 წელს 16 წლისას დებიუტი ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში არგენტინის წინააღმდეგ.

1958 წელს გახდა ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, რომელმაც ფინალურ მატჩში გაიტანა 2 გოლი. ბრაზილიამ მაშინ შვედეთის ნაკრები ანგარიშით 5:2 დაამარცხა.

1962 წელს ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა ჩემპიონატის ყველა მატჩში, მაგრამ, იმავე წელს, პელეს წყალობით, **“სანტოსმა”** კონტინენტთშორისი თასი მოიგო.

1970 წელს ბრაზილია მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა პელემ. 1975 წელს წავიდა აშშ-ში და თამაშობდა კლუბ **“კოსმოსში”**.

1982 წელს ფიფამ იგი დაადაჯილდოვა ოქროს მედლით მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

1994 წელს დაინიშნა ბრაზილიის სპორტის მინისტრად.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

კაცობრიობის დასაბამია და ღმერთი ცხვირებს არიგებს.

მივიდა რუსი და პატარა პაჭუა აპრეხილი ცხვირი სთხოვა. ღმერთმა მისცა.

მივიდა ქართველი და სწორი, ლამაზი ცხვირი სთხოვა. ღმერთმა მისცა.

მივიდა სომეხი და ეკითხება:

– ღმერთოჯან, ცხვირი რა ღირს?

– უფასოა! – პასუხობს ღმერთი.

– მაშინ ყველაზე დიდი მომეცი...

* * *

მეორეკლასელი ბავშვი ეკითხება მამას:

– მამი, ბავშვები როგორ ჩნდებიან?

– წეროებს მოჰყავთ, შვილო და ბოსტანში ტოვებენ.

მეორე დღეს მასწავლებელი ბავშვის დღიურში ჩანაწერს კითხულობს: “მამაჩემს ელემენტარული წარმოდგენა არ გააჩნია სექსზე...”

* * *

დღეს საქართველოს პარლამენტში გაიმართა შეხვედრა დაკეტილ კარს მიღმა. საღამოს გასაღებიც იპოვეს...

* * *

– რა მოგვიდა, კაკოია, რა მოწყენილი ხარ?

– ცოლი გემექცა გუშინ!

– ვისი?

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას “ეფრემ ვერდის” წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

– **ზანდუკი ნახო** – სიმდიდრის და ფართო ცხოვრების ნიშანია;
– **ზურმუხტის ნახვა** – კარგია იყიდო – სიხარული შეგემატოს;
– **ზურნის ნახვა** – ნიშანია ჯარისა და დიდძალი ხალხისა;
– **ზურნის ხმა თუ გაიგონო** – დიდი ნიაღვარი მოვიდეს, ანუ წვიმა;
– **ზამთარი ნახო** – კარგია და მეტად კარგ მოსავალს მოასწავებს;
– **ზაფრანით საჭმელი ჭამო** – კარგია და ჯანმრთელობას ნიშნავს;
– **ზაფრანის ნახვა** – ავადმყოფობა და ლოგინად ჩავარდნაა;
– **ზეცას აფრენა** – სიწმინდე და პატივია ყოველ კაცისათვის;
– **თავის მოჭრაა** – კარგია, მტერს ყოველ საქმეში მოერევი;
– **თოფის ხმა, ანუ გასროლა** – ახალ ამბავს მოასწავებს;
– **თმა გახშირებული გქონდეს** – ნიშანია შეძლებისა და შემატების;
– **თიხის ჭურჭელი ნახო** – კარგია, ოჯახში რამე მოგემატოს.

ასი წლის შემდეგ მსოფლიოში მწეველები აღარ იქნებიან

ჯოტამ კო – პროფესორი, ნეირობიოლოგი, მსოფლიოს რამდენიმე ფარმაცევტული კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კონსულტანტი, 25 პატენტის ავტორი ნეირობიოლოგიასა და ონკოლოგიაში

პროფესორმა ჯოტამ კომ მსოფლიოში პირველმა შექმნა ინოვაციური პრეპარატი აბების სახით სიგარეტის წევის დამოკიდებულების მოსახსნელად, რისთვისაც დაიმსახურა მსოფლიოს უდიდესი ჯილდო – გალენის პრემია (ნობელის პრემიის ანალოგი) მედიცინის კვლევის სფეროში.

ასი წლის შემდეგ მსოფლიოში მწეველები აღარ იქნებიან,– აცხადებს პროფესორი, რომლის თქმის უფლებას მას აძლევს ის კვლევები, საიდანაც ვიგებთ, რომ პლანეტის მწეველი მოსახლეობის 70 პროცენტს სურს ამ მავნე ჩვევისაგან განთავისუფლება. მხოლოდ 5 პროცენტი დარჩება განუკურნებელი, ხოლო ამ ორ უკიდურესობას შორის არის კიდევ მწეველთა 25 პროცენტი, რომლებიც შეგნებული ნაწილისკენ გადაიხრებიან.

ფაქტობრივად, მანამდე არსებული ყველა პრეპარატი ნიკოტინს შეიცავდა, რომელიც ნაკლებეფექტიანი იყო და მოქმედებდა პაციენტთა მხოლოდ 12 პროცენტის შემთხვევაში, თანაც – არა ყოველთვის. სწორედ ნიკოტინის შემცველობა იყო მისი მთავარი ნაკლი.

თავად ჯოტამ კო, როგორც სპეციალისტი, თვლის, რომ ნიკოტინდამოკიდებულება ქრონიკული დაავადებაა, რომელიც მით უფრო ძნელად იკურნება, რაც მეტსტაჟიანია მწეველი.

მკურნალობის პირველ ეტაპზე მწეველი სიგარეტის მოწევის წარმოუდგენელ სურვილს გრძნობს, ამ დროს თავის ტვინში გამომუშავდება რეცეპტორები, რომელნიც **„სიამოვნების ჰორმონ“** დოფამინს გამოყოფს.

10 წლის განმავლობაში კომ ეს პროცესი მოლეკულურ დონეზე შეისწავლა, განიხილა 30000-მდე ვარიანტი, შემდეგ კი შეირჩა ის ერთადერთი, რისგანაც შექმნეს ეს პრეპარატი. მან ასევე წარმატებით გაიარა წინა კლინიკური და კლინიკური ცდები.

მეცნიერი თვლის, რომ მკურნალობისთვის მთავარი მაინც ერთია – გადაწყვეტილების მიღება, პიროვნებამ შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი, რითაც, ფაქტობრივად, იცვლება თავად სამყარო.

ნიუ-იორკში კოლოფი სიგარეტი ღირს 10 დოლარი, და ეს ფაქტორი მუშაობს. უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ ქვეყნებში ყველაზე მეტი მწეველი ცხოვრობს.

მარტივი არითმეტიკა მწეველთათვის

1. მას შემდეგ, რაც ჩათვლით, რომ სიგარეტის წევას თავი დაანებეთ, ზუსტად რამდენიმე საათში ორგანიზმი იწყებს გაჯანსაღებას;

2. ამ პროცესიდან 48 საათის შემდეგ ნიკოტინი ორგანიზმიდან სრულიად გამოიდევნება და იწყება გემოს შეგრძნების გაუმჯობესება;

3. სიგარეტის გადაგდებიდან 1 წლის შემდეგ ორჯერ ნაკლებია გულის დაავადებების გაჩენის რისკი;

4. ბოლო სიგარეტიდან 10 წლის შემდეგ ორჯერ მცირდება ფილტვის კიბოს განვითარების რისკი;

5. 10-15 წლის შემდეგ კი ინსულტის გაჩენის შანსი ისეთივე თანაფარდობითაა, როგორც იმ ადამიანისა, ვისაც არასოდეს მოუწევია;

6. იმის მიუხედავად, რა ასაკში დაანებებთ თავს სიგარეტს, უდროოდ სიკვდილის რისკი მცირდება.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი	anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de რეკლამის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97